www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 26 სექტემბერი, 2012 წელი. | №3121 (214) | ფასი 50 თეთრი

ფრანგული ჟანდარმერიის მასალები და ხაინდრავა დაკითხვაზე

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ოპოზიციის წარმომადგენლებსა და კანონიერ ქურდებს შორის შედგა შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დესტაბილიზაციისა და მხედრიონის მსგავსი შეიარაღებული დაჯგუფების შექმნას.

როგორც საგანგებო ბრიფინგზე მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, რამდენიმე დღის წინ, ქართველმა ძალოვანებმა საფრანგეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიისგან მიიღეს ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ფოტო-ვიდეოგადაღების შესახებ დისკუსია გრძელდება

დათო გამისონია

საარჩევნო უბანზე ფოტო და ვიდეოგადაღება შენარჩუნდა, თუმცა ცესკო-ს დეკლარაციაში აღწერილი რეგულაციებით მედიის საქმიანობა იზღუდება. ცესკო-ს გადაწყვეტილებას გუშინ ჟურნალისტების პროტესტი მოჰყვა. დადგენილებას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც აკრიტიკებენ. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი ეკა ფოფხაძე მიიჩნევს, რომ დადგენილება ჟურნალისტებისა და დამკვირვებლებისთვის ბევრ ბარიერს აწესებს. ჟურნალისტების პროტესტს ასევე იწვევს ნორმა, რომლის თანახმად, თუ პირი გადასაღებ ადგილს დატოვებს, უკან ვეღარ დაბრუნდება. ამასთან, საარჩევნო უბანზე კომენტარის ჩაწერა აიკრძალა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ციხეში მომხდარ დანაშაულებს დამოუკიდებელი ჯგუფი გამოიძიებს

დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში ბოლო წლების განმავლობაში მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებს გამოიძიებს, 10 დღის ვადაში შეიქმნება. ეს ინიციატივა სასჯელაღსრულების ახალ მინისტრს გიორგი ტულუშს ეკუთვნის და საკითხი უკვე შეთანხმებულია პრეზიდენტთან. ყოფილმა ომბუდსმენმა მინისტრის რანგში გუშინ პირველად ჩაატარა ბრიფინგი და განაცხადა, რომ უკვე არსებობს გარკვეული მტკიცებულებები და ინფორმაცია სხვადასხვა პირების შესახებ, რომლებიც პატიმრების მიმართ, სასტიკ და ღირსების შემლახავ სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სადავო კუნძულებისთვის წყლის ჭავლით ბრძოლა

ივა შილაკაძე

აღმოსავლეთ-ჩინეთის ზღვაში სადავო კუნძულების გარშემო დაპირისპირება სულ უფრო მწვავდება. კუნძულების ჯგუფს ამჟამად რეალურად იაპონია აკონტროლებს, თუმცა მასზე პრეტენზიას აცხადებენ ჩინეთიც და ტაივანიც (ეს უკანასკნელი ჩინეთს საკუთარ ამბოხებულ პროვინციად მიაჩნია). არქიპელაგს იაპონელები სენკაკუს უწოდებენ, ხოლო ჩინელები და ტაივანელები - დიაოიუიდაოს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

ქალადობისა და ქალაუფლების ანატომია თეატრში

სოფიო ნემსაძე

უნდა ითქვას სიმართლე. ხშირად რეალურად მიმდინარე პროცესები კულტუროლოგიურს ჯაბნის. მით უფრო, თუ ეს პროცესები კულტურულ და მენტალურ შოკთან არის კავშირში. თბილისის თეატრის ფესტივალი არა მხოლოდ რამდენიმე ფესტივალის პარალელურად მიმდინარეობს, არამედ საქართველოს მოქალაქეებისთვის უპრეცენდენტო შოკის ფონზე.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

ქართული ღვინის გამოფენის წლევანდელი ტენდენციები

ბელა ჩეკურიშვილი

ის ფაქტი, რომ ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენამ სისტემური, ყოველწლიური სახე მიიღო და უკვე მეხეთედ ჩატარდა "ექსპო ჯორჯიას" პავილიონში, იმის მანიშნებელია, რომ ქართველები ამ ნაციონალურ ფენომენზე ხმამაღალი ლაპარაკიდან საქმეზე გადავედით და ვცდილობთ, მას ის სტატუსი მივანიჭოთ, რაც ისტორიულად ეკუთვნის.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

პრემიერი გლდანელებს შეხვდა

"არ დავაბრუნოთ ძველი დრო, არ დავაბრუნოთ ის ადამიანები, რომლებიც გვართმევდნენ დენს, გაზს, რომლებიც იჭერდნენ და აწამებდნენ ჩვენს შვილებს, არ დავაბრუნოთ კანონიერი ქურდები საქართველოში," - ამ სიტყვებით ვანო მერაბიშვილმა გლდანის მოსახლეობას მიმართა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მოსახლეობას სხვაგვარი ცხოვრება სურს. "ჩვენ დავდეთ პირობა, კონკრეტულად სად იქნება უფასო ინტერნეტი, სკოლა, საბავშვო ბაღი, წყალი, გაზი. გაძლევთ პირობას, ისე როგორც დაზღვეულია ყველა ბავშვი, პენსიონერი, ჯარისკაცი, პოლიციელი, ვინც არ მოხვდით ამ ჯგუფში, ყველას გექნებათ დაზღვევა. ვაპირებ, ავაღორძინო ქართული სოფელი. სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ - ზუგდიდში, სენაკში, თელავში, ყვარელში, ახალციხეში, მუხიანში თუ გლდანში, მაინც მჭიდრო ფესვებით ვართ დაკავშირებულნი სოფელთან. ჩვენ უნდა გავაორმაგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა გლეხმა საკუთარი პროდუქციის გაყიდვით მიიღოს შემოსავალი. უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა უმუშევრობას. ყოველ წუთს დაკავებული ვიქნები იმით, რომ უმუშევრობას ვებრძოლო. შევეცდებით, დავასაქმოთ მეტი ადამიანი. თითოეული პროექტის წარმატება განისაზღვრება იმით, რამდენი ადამიანი დაასაქმა მან," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. პრემიერის თქმით, კალენდარი, რომელიც "ნაციონალურმა მოძრაობამ" მოსახლეობას დაურიგა, მისი სამაგიდო წიგნი იქნება. მერაბიშვილმა მოსახლეობას მოუწოდა, მთავრობის საქმიანობა ამ კალენდრის შესაბამისად შეაფასონ, რადგან ყველა დაპირება ვადებში და გადაჭარბებითაც კი შესრულდება.

გუშინვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გურჯაანის ღვინის ქარხანაში იმყოფებოდა. ვანო მერაბიშვილმა ყურძნის ჩაბარების პროცესის მიმდინარეობა შეამოწმა. პრემიერ-მინისტრი ქარხანაში დანერგილ ახალ ტექნოლოგიებს გაეცნო. გურჯაანის ღვინის ქარხანამ ამ დრომდე 3000 ტონა ყურძენი გადაამუშავა და ყურძნის მიღებას კვლავ აგრძელებს. ქარხნის დღიური წარმადობა 100-150 ტონაა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაზიანებულ ყურძენს ღვინის ქარხნები - 35 თეთრად, ხოლო შავ ყურძენს ლარად იბარებენ. სულ კახეთის რეგიონში 55 ყურძნის ჩამბარებელი პუნქტია გახსნილი.

ციხეში მომხდარ დანაშაულებს დამოუკიდებელი ჯგუფი გამოიძიებს

როგორც მინისტრმა განაცხადა, პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალების გავრცელების შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სუიციდის ორი მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა. როგორც გაირკვა, ვიდეომასალების გავრცელების შემდეგ, რამდენიმე პატიმარს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში ისინი ჩანდნენ, რაც თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზი გახდა.

ყოფილი ომბუდსმენი გიორგი ტუღუში მედიასაშუალებებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ წამების ამსახველი მასალების გავრცელებისგან.

"ჩვენ ამ ადამიანებს სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ, მაგრამ ვთხოვთ მედიასაშუალებებს, თავი შეიკავონ წამების ამსახველი ვიდეომასალების გავრცელებისგან, რადგან ეს საფრთხეს უქმნის როგორც პატიმრებს, ასევე იმ მიზნების აღსრულებას, რომელიც სამინისტრომ დაისახა. თუ მედიასაშუალებები მსგავს კადრებს კიდევ მოიპოვებენ, მათ შეუძლიათ ანონიმურად გადასცენ პროკურატურას, ან სასჯელაღსრულების სამინისტროს," - აცხადებს გიორგი ტუღუში.

მინისტრის ინფორმაციით, გარდა გავრცელებული კადრებისა, სასჯელაღსრულების სამინისტრომ რამდენიმედღიანი მუშაობის შედეგად, გამოავლინა უფრო მძიმე ფაქტები, ვიდრე ეს კადრებში ჩანს. ტუღუშის თქმითვე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება, ყველა პირზე, რომლებიც პატიმართა წამებაში მონაწილეობდნენ, ინფორმაცია გადაეგზავნება პროკურატურას და დაიწყება მათი სისხლისსამართლებრივი დევნა.

"ბოლო დღეების გამავლობაში, რაც მინისტრის თანამდებობა დავიკავე, ყველა იმ ფაქტის შესწავლა დავიიწყე, რომელსაც, შესაძლოა, ციხეებში ჰქონდა ადგილი. სამწუხაროდ, მინდა ავღნიშნო, რომ გარდა იმ საზარელი კადრებისა, რომელიც ჩვენ ვიხილეთ, სასჯელაღსრულების სისტემაში ადილი ჰქონდა წამების სასტიკი და ღირსების შემლახავ სხვა გარემოებებსაც. ამასთან დაკავშირებით არსებობს მტკიცებულებებიც," - აცხადებს ყოფილი ომბუდსმენი.

რაც შეეხება დამოუკიდებელ კომისიას, რომელმაც სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეისწავლის. გიორგი ტუღუშის ინფორმაციით, კომისიაში შევლენ სასჯელაღსრულების მინისტრი ან მისი უფლებამოსილი პირი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. გარდა ამისა, კომისიასი შევა ერთი პროკურორი, რომელსაც ყოფილი ომბუდსმენის განმარტებით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეებზე გამოძიება არ უწარმოებია. ჯგუფში ასევე მიწვეული იქნებიან კონსულტანტები, ცნობილი საერთაშორისო ექსპერტები, დამკვირვებლები და უფლებადამცველები.

"ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, საგამოძიებო ჯგუფი რამდენი წევრით დაკომპლექტდება, თუმცა ჯგუფს შეეძლება იმ ფაქტების და შემთხვევების მოკვლევა და იმ პირებთან ურთიერთობა, რომელთაც ეხება წამება, არაადამიანური მოპყრობა სასჯელაღსრულების სისტემაში. ჯგუფს დააფინანსებს სახელმწიფო.

ვიზრუნებ, რომ ჯგუფი უახლოეს დღეებში ჩამოყალიბდეს. საგამოძიებო კომისიას მიეცემა ფართო კომპეტენცია - თუკი კომისია ჩათვლის, რომ სახელმწიფოს რომელიმე სტრუქტურის ხელმძღვანელი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, ჯგუფის წევრები გასცემენ რეკომენდაციას, რომ სახელმწიფო მოხელეს შეუჩერდეს უფლებამოსილება. მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული. ჯგუფის წევრებს შეარჩევს საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა ჯგუფში მათი ჩასმა სამინისტროს წარმომადგენლებთან გარკვეული განხილვების შემდეგ მოხდება," - განმარტავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრი. მისივე თქმით, საგამოძიებო ჯგუფს უფლება ექნება ინფორმაცია საჯარო გახადოს.

სტუდენტები არჩევნების მონიტორინგზე გადაერთნენ

მარი ახსიაშვილი

პატიმრებზე ძალადობის საწინააღმდეგო პერმანენტული აქციებიდან ერთი კვირის თავზე, სტუდენტური ორგანიზაციები არჩევნების მონიტორინგის და არჩევანის თავისუფლების დაცვის მიზნით გაერთიანდნენ. 10-ზე მეტი სტუდენტური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გუშინ თსუ-ს ეზოში გამართულ შეკრებაზე განაცხადეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კონკრეტულ გეგმებზე და იმაზე, თუ რას გააკეთებენ მომავალ დღეებში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად.

სტუდენტური ორგანიზაციების ხელმძღვანელების განცხადებით, ამ გეგმებში შედის საპროტესტო აქციები და სხვადასხვა ტიპის შეხვედრები სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, სტუდენტები აცხადებენ, რომ არ გამოხატავენ და არ იცავენ არც ერთი პოლიტიკური ძალის პოზიციას.

წინასწარი ინფორმაციით, გაერთიანებაში შევლენ სტუდენტური ორგანიზაცია "ლაბორატორია 1918", "სტუდენტური ხმა", "ნარინჯისფერი", "სტუდენტების საორგანიზაციო ჯგუფი", "დავითიანი" "დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია" და "ახალგაზრდები სამართლიანობისთვის".

საქართველოს ბიზნესის განვითარების კავკასიის ცენტრის წარმომადგენელ სერგო ბარამიძის განცხადებით, რომელიც გაერთიანების ერთგვარი მოდერატორი იქნება, სტუდენტების მიზანია არჩევნების სამართლიანად ჩატარება.

"გვექნება ერთი ვებ-სივრცე, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ დავაანონსოთ სხვადასხვა აქციების შესახებ სწორი და უტყუარი ინფორმაცია. ეს იქნება მშვიდობიანი საზოგადოებრივი სამუშაო ჯგუფი," - აღნიშნავს ბარამიძე.

სტუდენტური გაერთიანების სამოქმედო გეგმის შესახებ უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი, გუშინ კი, თსუ-სთან მცირე საინფორმაციო შეხვედრის შემდეგ, სტუდენტთა ჯგუფმა, "ლაბორატორია 1918"-ის ორგანიზებით, გაერო-ს ოფისისკენ მსვლელობა მოაწყო. აქციის მონაწილეებმა გაერო-ს მოუწოდეს და სთხოვეს, გვერდით დაუდგნენ ქართულ საზოგადოებას (გუშინ ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეა გაიხსნა, რომელსაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით უნდა მიმართოს). მათი თქმით, გაერო-მ უნდა გაითვალისწინოს ქართველი ხალხის აზრი და ის მდგომარეობა, რაც საქართველოშია. სტუდენტებმა გაერო-ს ოფისთან რამდენიმე მოთხოვნა წამოაყენეს.

"მოვუწოდეთ გაერო-ს წარმომადგენლებს, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი, როგორც ქართველი ხალხის პრეზიდენტი, არ მიიღონ, რადგან ტირანია. ასევე მოვუწოდეთ დასავლეთს და გაერო-ს წევრ ქვეყნებს, რომ დადგნენ ქართველი ხალხის გვერდით," - განაცხადა "ლაბორატორია 1918"-ის წარმომადგენელმა ანი ჭანკოტაძემ.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ალექსანდრე ჩხეიძის თქმით, დასავლეთმა უნდა გააკეთოს მკვეთრი განცხადება იმ ტირანიის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოშია.

"დასავლეთისგან ყოველთვის ისმის ორაზროვანი განცხადებები და ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ყველა დემოკრატიულ ქვეყანას, გააკეთონ ერთმნიშვნელოვანი განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში შეწყდეს ტირანია, მხარი აღარ დაუჭირონ იმ რეჟიმს, რომლის მიმართაც პატივისცემას ყოველთვის გამოხატავდნენ. ეს არის ჩვენი მოთხოვნა და ის აუცილებლად უნდა შესრულდეს, რათა ქვეყანაში შეწყდეს ძალადობა და ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში აღარ იყოს," - განაცხადა ჩხეიძემ.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორ გელა ბანძელაძის თქმით, საქართველოში მმართველობის სისტემა უნდა დაინგრეს. როგორც ბანძელაძე აღნიშნავს, ცალკეული პიროვნებების გადაყენება საკმარისი არ არის.

"აუცილებელია, მმართველობის ის სისტემა დაინგრეს, რომელიც საქართველოშია და ამ სისტემის მანიაკალური განსახიერებაა მიხეილ სააკაშვილი," - განაცხადა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორმა.

გუშინ სტუდენტთა საპროტესტო აქციებს შეუერთდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც იუსტიციის სახლთან შიმშილობდნენ. ამის შესახებ საგანგებო განცხადება კოალიცია "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა უჩა კანდელაკმა გააკეთა. მისი თქმით, ისინი შიმშილობას წყვეტენ და უფრო აქტიურ ქმედებებზე გადავლენ.

"ჩვენს შიმშილობას ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. გასული დღეების განმავლობაში დააკავეს კოალიციის 250-300 მხარდამჭერი, ამით მოხდა მათი განეიტრალება პოლიტიკური ცხოვრებისგან, ამიტომ საჭირო გახდა ჩვენგან უფრო აქტიურ ქმედებებზე გადასვლა. ვუერთდებით აქციებს და ახალგაზრდულ მოძრაობებს," - განაცხადა უჩა კანდელაკმა.

ახალგაზრდებთან ერთად, შიმშილობა შეწყვიტა მწერალმა ირაკლი ლომოურმა, რომელიც იუსტიციის სახლთან 22 სექტემბრიდან შიმშილობდა.

"ხელისუფლებას ძალიან უნდა, რომ ჩვენ აქ შიმშილით დავიხოცოთ, თუმცა ჩვენ შიმშილობას ვწყვეტთ. წინ არის გადამწყვეტი ბრძოლა, გამოვხატავთ პროტესტს მშვიდობიანად და ამ გზით მოვითხოვთ კანონის დაცვას," - განაცხადა ლომოურმა.

საპროტესტო აქცია ისევ გაიმართა ფილარმონიასთან. ორგანიზატორებმა გააკრეს ბანერი ბაჩო ახალაიას, ხათუნა კალმახელიძის, დიმიტრი შაშკინის, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის გამოსახულებით, რომელსაც ეწერა - "არ დასჯილან!" აქციაზე მივიდნენ სასულიერო პირები, პოლიტიკოსებიდან კი - ირაკლი ბათიაშვილი.

ერთ-ერთი გამომსვლელის ალექსანდრე კობაიძის თქმით, მათი მოთხოვნაა, გადადგეს აღმასრულებელი ხელისუფლება და მისი წარმომადგენლები სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ.

"ასევე, ჩვენი მთავარი და უპირველესი მოთხოვნაა, ყველა პოლიტპატიმარი და მათ შორის ისინი, ვინც ბოლო დღეებში იყვნენ დაპატიმრებულები - დაჩი ცაგურია, ბექა ალადაშვილი და სხვები, გათავისუფლდნენ," - განაცხადა კობაიძემ.

აქციის მონაწილეებმა ასევე მოითხოვეს, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მონიტორინგისთვის ციხეებში დაუშვან, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სიტუაციაზე ობიექტური ინფორმაცია გამოიტანონ. კობაიძის თქმით, თუ მოთხოვნები არ შესრულდება, მიტინგი ყოველდღე 17:00 საათზე გაიმართება.

აქციის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდეს, ნუ ცდილობენ პროვოკაციას. მათივე თქმით, მშვიდობიანი მუხტი პირველ ოქტომბრამდე უნდა შენარჩუნდეს, ხოლო პირველ ოქტომბერს საკუთარი პოზიცია ყველამ არჩევნებზე უნდა დააფიქსიროს. აქციის მონაწილეებმა მოუწოდეს იმ პირებს, რომლებიც აქციაზე ნიღბებით მოძრაობენ, ნიღბები მოიხსნან, რადგან შეიძლება ეს, მათი თქმით, პროვოკაციის მიზეზი გახდეს.

"ჩვენ პატრიარქის მოწოდებას ვასრულებთ და მშვიდობას ვინარჩუნებთ. ჩვენი აქციები მშვიდობიანია და მიმართულია ციხეებში პატიმრების წამების წინააღმდეგ," - განაცხადა ალესანდრე კობაიძემ.

დღის ბოლოს კი, სპორტის სასახლიდან სიონის ტაძრამდე, სასულიერო პირების მონაწილეობით მსვლელობა მოეწყო. მას წინ მიუძღვებოდა 20-ზე მეტი სასულიერო პირი და მონაზვნები. მანიფესტაცია საკმევლის კმევით და წყლის კურთხევით, საეკლესიო ბაირაღებით მიმდინარეობდა. გამვლელი ავტომანქანები აქციის მონაწილეებს სიგნალებით მხარდაჭერას უცხადებდნენ. მსვლელობაში 1000-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა "დავითიანნის" წევრები, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტები.

დღეს საპროტესტო გამოსვლები, წინა დღეების მსგავსად, 15:00 საათზე - თსუ-ს პირველ კორპუსთან, ხოლო 17:00 საათზე ფილარმონიასთან გაიმართება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "ფეპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

სააკაშვილის გამოსვლა გაერო-ს სესიაზე

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაერო-ს 67-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა. მისი სიტყვა სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარ სისასტიკეს უტრიალებდა. როგორც პრეზიდენტმა გაერო-ს ტრიბუნიდან აღნიშნა, ფაქტების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ ხელისუფლებამ მყისიერი რეაგირება მოახდინა - ორმა მინისტრმა თანამდებობა დატოვა, რაც, სააკაშვილის თქმით, იმის ნიშანია, რომ მსოფლიოს ეს ნაწილი სწორი მიმართულებით ვითარდება.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს ტრანსფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ საფრთხეების მიუხედავად, ხელისუფლება მიზნისკენ მიმავალ გზას არ გადაუხვევს.

სააკაშვილი საბჭოთა წარსულსა და ორგანიზებულ დანაშაულსაც შეეხო. მან გაიხსენა, რომ საქართველო ორგანიზებული დანაშაულის სიჭარბით გამოირჩეოდა, თუმცა აღნიშნა, რომ საქართველომ ამის დაძლევა შეძლო. სააკაშვილის თქმით, ამ გზაზე ბუნებრივია ნიჰილიზმი და წინააღმდეგობები, რაც გეზის შეცვლის მიზეზი არ უნდა გახდეს. **სოვიეტიზმის და პოსტსოვიეტიზმის დაძლევა შეგვიძლია. მონობა ბედისწერა არ არის. ჩვენი მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული,** - ამბობს სააკაშვილი, - **ქართველებმა თავისუფლების ფასი იციან. ამას სტაბილურობა და ნამდვილი მშვიდობა მოჰყვება."** მას მიაჩნია, რომ საზოგადოებას პლურალიზმი და თავისუფალი დებატები აძლიერებს. პრეზიდენტის თქმით, ინდივიდუალური უფლების შეზღუდვით თავისუფლების მოპოვება შეუძლებელია. მისი აზრით, ყველა კულტურაში ადამიანები თავიანთი მომავლის განსაზღვრის უფლებას მოითხოვენ. **ეს ფუნდამენტური საკითხია და ამის მიღწევა მარტივი არ არის. თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ წინააღმდეგობებისა და სხვადასხვა რყევების გარეშე არაფერი მიიღწევა,"** - აცხადებს სააკაშვილი.

პრეზიდენტი მმართველ «ნაციონალურ მოძრაობასა" და სახელმწიფოს შორის განსხვავებების დანახვას ცდილობს. მისი მტკიცებით, ის, რაც შესაძლოა, მმართველი პარტიისთვის საფრთხეს წარმოადგენდეს, სახელმწიფოსთვის საჭიროა. **ამიტომ ძალადობა არასდროს იქნება ლეგიტიმიზებული. ურმავლესობის ნება ყოველთვის უნდა აღსრულდეს, იარაღის გამოყენება და შანტაჟი დაუშვებელია,** - აღნიშნავს სააკაშვილი და რეაგირებაზე ამახვილებს ყურადღებას, - **ამ შიშებსა და საფრთხეზე ჩვენი პასუხია პლურალიზმის კიდევ უფრო გავრცელება და კანონის პატივისცემა."**

პრეზიდენტმა გამოსვლის ბოლოს პირველი ოქტომბრის არჩევნების შესახებ ისაუბრა. **მინდა, ჩემი იმედები გაგიზიაროთ; რამდენიმე დღეში საქართველოს მოაქალაქეები თავიანთ მომავალს გადაწყვეტენ.**

მთავარი, რაც უნდა დადასტურდეს არის ის, რომ არანაირი ბინძური ფულით, ჩრდილოეთიდან არანაირი პირდაპირი სამხედრო ჩარევით, მსხვილმასშტაბიანი პროვოკაციებით და სხვა პარტიზანული შეტევებით საქართველო უკან არასდროს დაბრუნდება," - ამბობს სააკაშვილი. ის კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ევროკავშირის კვლევის თანახმად, საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა. **ჩვენ დავადასტურებთ, რომ ჩვენი ხელისუფლება საქმის გასაკეთებლადაა მოსული. ერის სურვილის და არჩევანის დანგრევას ჩვენი მოსახლეობა არ დაუშვებს,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

ფოტო-ვიდეოგადაღების შესახებ დისკუსია გრძელდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში კი ნათქვამია, რომ გადაადგილება გადაღების დაწყებიდან მხოლოდ 10 წუთის განმავლობაშია დაშვებული, შემდეგ კი ოპერატორები და ფოტორეპორტიორები იძულებულნი იქნებიან, მუშაობა მათთვის გამოყოფილი ადგილიდან გააგრძელონ.

არასამთავრობო ორგანიზაციები ცესკო-ს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ, თუმცა საქმე ის არის, რომ შესაძლოა, პროცედურის დასრულება არჩევნებამდე ვერ მოესწროს. ჟურნალისტებმა ცესკო-ს შენობის შესასვლელთან დადგენილების გაუქმების მოთხოვნით გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს. ჟურნალისტ ზვიად ქორიძის განცხადებით, რომელიც აქციაზე იმყოფებოდა, ცესკო-მ სრულიად საქართველოს მედიას არჩევნების დღეს ნორმალური მუშაობის საშუალება შეუზღუდა. მისი თქმით, ცესკო-მ საზოგადოებას წაართვა უფლება, არჩევნების დღეს ინფორმირებული იყოს. **"ამან, ჟურნალისტების პროტესტი განაპირობა. დარწმუნებული ვარ, პროტესტი კიდევ უფრო გაიზრდება და მკაცრი იქნება ის მოთხოვნა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ცესკო ანგარიშს გაუწევს. მას ამ გადაწყვეტილების გაბათილება აუცილებლად მოუწევს,"** - აღნიშნავს ქორიძე. მისი აზრით, პირველი პრობლემა ის არის, რომ ჟურნალისტები ვერ მოახერხებენ რეალობის სრულად ასახვას იმ უბანზე, რომელზეც მოისურვებენ. როგორც ქორიძე ამბობს, ის მასალები, რომლებსაც ჟურნალისტები თავიანთ პროგრამებსა და გაზეთებს მიაწვდიან, ძირითადად ნახევარფაბრიკატი იქნება.

ცესკო-ს შენობასთან შეკრებილი ჟურნალიტების არაერთი მოთხოვნის შემდეგ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი მათთან შეხვედრას დათანხმდა. აქციის მონაწილეების გადაწყვეტილებით, მასთან მოსალაპარაკებლად, "რეზონანსის" მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში და ჟურნალ "ლიბერალის" მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი შევიდნენ.

ზურაბ ხარატიშვილი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს ისევ შეხვდება. შავერდაშვილის თქმით, ისინი ყველანაირად შეეცდებიან, კომისიის წევრები დაარწმუნონ, რომ დადგენილება მედიის წარმომადგენლებს რეალურად ხელ-ფეხს უკრავს. **"კომისიის წევრები არ არიან ჩახედულები ჟურნალისტების საქმიანობაში, ამიტომ შესაძლოა, მათთვის ძნელი წარმოსადგენი იყოს, თუ რა დაბრკოლებებს უქმნის დადგენილება ჟურნალისტებს,"** - თქვა შავერდაშვილმა. ის იმედოვნებს, რომ ცესკო ახალ დადგენილებას გააუქმებს ან რეკომენდაციის სახეს მისცემს.

ცესკო-ში მიღებული დადგენილება "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში" არეულობის შეტანის მიზეზი გახდა. საქმე ის არის, რომ პროექტი 11 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაამტკიცეს. დოკუმენტის მიღების წინააღმდეგ ხმა ცესკო-ში "კონსერვატიული პარტიისა" და "მრეწველების" წარმომადგენლებმა მისცეს. "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის," "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის" და "ევროპელი დემოკრატების" წარმომადგენლებმა დადგენილების მიღებას მხარი დაუჭირეს.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" გადაწყვეტილებას ამავე პარტიის გლდანის მაჟორიტარ კანდიდატ ინგა გრიგოლიას პროტესტი მოჰყვა. გრიგოლიამ "ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე კანდიდატურის მოხსნის შესახებ დაპოსტა. **"ყველა ზარის, ყველა სმს-ის, ყველა კომენტარის საპასუხოდ, რომლებიც გუშინდელიდან მოყოლებული დამხვდა, გპასუხობთ - იმის მიუხედავად, რომ გუშინ მიღებული გადაწყვეტილება არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით ბევრად განსხვავდება იმ ვარიანტისგან, რომლის გატანაც ხელისუფლებას უნდოდა და იმედია, "ქრისტიან-დემოკრატები" გააკეთებენ განმარტებას, რატომ დაუჭირეს მხარი, რადგან დარწმუნებული ვამტკიცებდი, რომ ჩვენები კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, ვასრულებ ჩემს პირობას და არჩევნებიდან ვხსნი ჩემს კანდიდატურას,"** - წერს ინგა გრიგოლია.

გლდანში კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი სოსო ჯაჭვლიანი ინგა გრიგოლიას გადაწყვეტილებას მიესალმა. **"ინგა გრიგოლიას მე მაგრად ვაფასებ, მიყვარს კიდეც, როგორც ჟურნალისტი და როგორც ადამიანი. თავის დროზე ვეუბნებოდი, ეშმაკები გახვევია ირგვლივ-მეთქი. ახლა ის ბევრ რაღაცას მიხვდა და ეშმაკებისგან გათავისუფლდა. ინგამ სწორი ნაბიჯი გადადგა. ყოჩაღ მას,"** - აღნიშნავს სოსო ჯაჭვლიანი.

"ქრისტიან-დემოკრატები" კი ამტკიცებდნენ, რომ გრიგოლიამ გადაწყვეტილება ემოციურ ფონზე მიიღო. როგორც ლევან ვეფხვაძემ აღნიშნა, ინგა გრიგოლია სერიოზული ფსიქოლოგიური შეტევის ქვეშ მოხვდა. ვეფხვაძის აზრით, ინგა გრიგოლიაზე გამიზნული ზეწოლა ხდებოდა და მას არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. **"ჩვენ მასთან კონსულტაციები გვექნება და როდესაც ინგა იმ დოკუმენტს გაეცნობა, რომელსაც "ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" მხარი დაუჭირა, ის გადაწყვეტილებას შეცვლის,"** - ამბობდა ვეფხვაძე.

"ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" თავისი პოზიციის დაცვა ცესკო-ს შენობასთანაც მოუწია. შენობიდან გამოსვლის შემდეგ ცესკო-ში პარტიის წარმომადგენელ გოჩა ჯოჯუას აქციაზე მყოფმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ დაუჭირა მხარი ჟურნალისტების საქმიანობის შეზღუდვას. **"ჟურნალისტები ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან, რა კარგი რამ გაკეთდა მათთვის,** - ამბოს გოჩა ჯოჯუა, - **ამ დადგენილების მიხედვით, ჟურნალისტების საქმიანობა კი არ შეიზღუდა, არამედ დაკონკრეტდა, რა უფლებებით ისარგებლებენ ისინი საარჩევნო უბანზე."**

ცესკო-ს წევრი პარტიებიდან "ლეიბორისტების" წარმომადგენელი იყო ერთადერთი, რომელსაც დადგენილების კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ გუშინ განაცხადა, "ლეიბორისტულმა პარტიამ" გადაწყვეტილებებს მხარი იმის გამო არ დაუჭირა, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი შეთანხმებით მოქმედებენ. **"ცესკო-ს სხდომაზე ჩვენი გამოცხადება მოძალადე სააკაშვილ-ივანიშვილის მხარდაჭერა იქნებოდა,"** - აღნიშნა ძაგანიამ.

შსს-ს სპეციალური განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბოლო დღეების მოვლენებთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადებას გაავრცელა, სადაც პოლიტიკურ პარტიებთან კავშირში მყოფი პირების მხრიდან განხორციელებულ ძალადობრივ ფაქტებზეა საუბარი.

პოლიციაში აცხადებენ, რომ სამართალდამცველების მხრიდან ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს და პოლიტიკურ პარტიას ჰქონდეს შესაძლებლობა ანარმოოს საარჩევნო კამპანია მშვიდ და დაცულ გარემოში.

ციხის სკანდალური კადრების გამოჩენის შემდგომ, სიტუაცია დაიძაბა და გაჩნდა აგრესიული, დაშინების, მუქარის და ზოგ შემთხვევებში, ძალადობრივი ქმედების ფაქტები. მათ შორის იმატა საჯარო მოხელეების და პოლიტიკური პარტიების მხადრამჭერთა მიმართ მუქარებმა და ხშირ შემთხვევებში, თავდასხმის ფაქტებმა ან თავდასხმის მუქარებმა, - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

სამართალდამცველების განმარტებით, ზოგიერთი პოლიტიკური აქტივისტის ქცევა პრობლემატური გახდა წინასაარჩევნო პერიოდში და ყველა სამართალდამცავს და პოლიციის ოფიცერს მიეცა განკარგულება, შეინარჩუნონ სიმშვიდე და მაქსიმალურად თავი შეიკავონ ამ პოლიტიკური თვალსაზრისით აქტიურ პერიოდში.

კონფლიქტების უმეტეს შემთხვევებში, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს არ დაუპატიმრებიათ და დაუკავებიათ არც ერთი პირი, თუმცა იმ შემთხვევებში, სადაც არსებობდა საშიშროება, რომ მომხდარიყო ფიზიკური ძალადობა მოქალაქეების ან ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ. სამართალდამცველები ვალდებული იყვნენ, რეაგირება მოეხდინათ, რათა არ გადაიზარდილიყო სიტუაცია უფრო სერიოზულ დაპირისპირებაში, - ნათქვამია შს სამინისტროს სპეციალურ განცხადებაში.

სამართალდამცველების რამდენიმე ფაქტზე საუბრობენ. მათი განცხადებით, მესტიაში, საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალურ პირს დაემუქრა და ფიზიკურად თავს დაესხა "ქართულ ოცნებასთან» კავშირში მყოფი პირი; ხარაგაულში "ქართული ოცნების" აქტივისტები თავს დაესხნენ და სცემეს ადგილობრივი გამგებელი.

ამავე ინფორმაციით, ფოთში "ქართული ოცნების" აქტივისტები თავს დაესხნენ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტს, რომელსაც ეცვა მაისური "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სლოგანით.

იმ შემთხვევებში, სადაც საქართველოს მოქალაქეების ფიზიკური უსაფრთხოება საშიშროების წინაშე იდგა, პოლიცია ვალდებული იყო, მოეხდინა რეაგირება. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ პოლიცია მაქსიმალურად თავშეკავებულად მოქმედებს იმ სიტუაციებში, სადაც მოქალაქეებს საფრთხე არ ემუქრებათ. მაგალითად, როდესაც კახა კალაძე დაემუქრა პოლიციელებს და მოხდა მათი მანქანის გარშემორტყმა ქართული ოცნების აქტივისტების მიერ, პოლიციას არ დაუპატიმრებია ის პირები, რომლებიც ამ ინციდენტში მონაწილეობდნენ, - აცხადებენ შსს-ში.

განცხადებაში კიდევ ერთ შემთხვევაზეა საუბარი, რომელიც კახი კალაძეს უკავშირდება.

ის მიუძღვებოდა აქტივისტების ჯგუფს სამტრედიის პოლიციის განყოფილების ბლოკირების მიზნით, რა დროსაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა მათ. ხსენებული ჯგუფიდან დაიკითხა ერთი, ყველაზე აგრესიულობით გამორჩეული პირი და ის მალევე გათავისუფლდა. დემონსტრაცია გაგრძელდა დაკავებებისა და დაპატიმრებების გარეშე, - განმარტავენ პოლიციაში.

პოლიციაში აცხადებენ, რომ არც ერთი დაკავება არ არის პოლიტიკურად მოტივირებული და ხდება რეაგირება გარკვეულ ინციდენტებზე.

მონიტორინგის ჯგუფის მასალები პროკურატურას გადაეგზავნა

პროკურატურამ გლდანის მე-8 საპყრობილის კონტროლიორი მამუკა ჩხიტუნიძე დააკავა, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144" მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში - წამებაში ედება ბრალი.

პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა შოთა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ამ დროისთვის დაკავებულია 12 პირი, დაკითხულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ და მოქმედ მოხელეთა დიდი ნაწილი. პროკურორის თქმით, ამ დროისთვის სასჯელღასრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ პატიმართა წამებისა და მათ მიმართ არადამიანური მოპყრობის გამოძიების მსვლელობისას გამოვლენილია მძიმე მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფაქტებიც. პროკურორის განცხადებით, გამოძიების მიზანია, ყველა დამნაშავე წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. მისი თქმით, გამოძიება გრძელდება და საზოგადოების პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია.

ომბუდსმენის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა ტატა ხუნწარიამ მთავარ პროკურორს პრევენციის ჯგუფის მიერ რუსთავის N16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მასალები მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა და საქართველოს მთავარ პროკურორს რეკომენდაციით მიმართა დაიწყოს გამოძიება რუსთავის N16 დაწესებულების მსჯავრდებულთა ახსნა-განმარტებებში მოყვანილ ფაქტებზე. მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს გადასცეს 336 ინდივიდუალური საჩივარი და კოლექტიური ახსნა-განმარტება, რომელსაც ხელს აწერს 416 ადამიანი. მოთხოვნაში პატიმრები მათ მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის შესახებ საუბრობენ და დაწესებულების იმ თანამშრომელთა დასჯას მოითხოვენ, რომლებიც მათ წამებაში მონაწილეობდნენ.

ომბუდსმენის აპარატის პრევენციის ჯგუფური 19 სექტემბრიდან 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს ახორციელებს სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებების საგანგებო მონიტორინგს. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა განცხადენით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნორმალური ვითარებაა და დაწესებულებები ფუნქციონირებს ჩვეულ რეჟიმში. თუმცა, აღსანიშნავია, პატიმრები მათ მიმართ განხორციელებული წამებისა და ძალადობის შესახებ უმეტეს საპატიმრო დაწესებულებებში საუბრობენ.

ზუგდიდის N4 დაწესებულებაში პატიმრების ჯგუფმა სახალხო დამცველის რწმუნებულს გადასცა წერილობითი განცხადება, სადაც მიუთითებენ დაწესებულების ყველა იმ თანამშრომელზე, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა წარსულში სხვადასხვა დროს მათ მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში.

პატიმართა თქმით, მათ მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ დაწესებულების დირექტორი ამირან ჯანაშია, დირექტორის ყოფილი მოადგილე დიმიტრი ჯიჭონაია, თანამშრომლები რომეო როგავა, კობა ანთია, გოგიტა გაბისონია, თემურ გოგოლი, ლევან კოდუა, პაპუნა ქირია, გურამ კვარაცხელია, ონისე, რომლის გვარიც არ იციან და იოსავა, რომლის სახელიც არ იციან, ზაზა, რომელიც დირექტორის მძღოლი იყო. განცხადებას ხელს აწერს 7 მსჯავრდებული.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

2012 წლის 1 ოქტომბერს ტარდება:

საქართველოს პარლამენტის არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი

პარლამენტის არჩევნები 2012

ხმის მისაცემად აუცილებელი პროცედურები:



- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  ყურადღება!
  თუ აღმოჩნდება, რომ არ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  ყურადღება!
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას



- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენ(ებ)ის მიღება
- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენ(ებ)ი

- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენ(ებ)ი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა\
- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში
- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

ფრანგული ჟანდარმერიის მასალები და ხაინდრავა დაკითხვაზე

პირველი გვერდიდან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, საფრანგეთის სასამართლოს სანქციით, ეს მასალა ოფიციალურად გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

"საფრანგეთის ჟანდარმერიის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, ქართული ოპოზიციის წარმომადგენელსა და საერთაშორისო დანაშაულებრივი ქსელის სათავეში მდგომ კანონიერ ქურდებს შორის შედგა შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დესტაბილიზაციისა და ძალადობრივი მოქმედებების გამოწვევას. კანონიერი ქურდების გავლენის აღდგენას და მხედრიონის მსგავსი შეიარაღებული დაგუფების შექმნას. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ქართველი სამართალდამცველები ინტენსიურ გამოძიებას აწარმოებენ," - განაცხადა ზოდელავამ.

ჯერ კიდევ ორი დღის წინ, საფრანგეთში მყოფმა იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანმა განაცხადა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, კონსულტაციებს ფრანგ კოლეგებთან გადიოდა.

"რამდენიმე კვირის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრა გამართა საფრანგეთის შს მინისტრთან. ჩვენი კონსულტაციების თემა არის გამოძიება, რომელსაც საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერია აწარმოებს. იმავე საკითხებზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შსს, პროკურატურის ზედამხედველობით. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ საქმე ეხება ქართული ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლების, კერძოდ, კანონიერი ქურდების კონტაქტებს, ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსთან და არჩევნების პერიოდში, მათ შორის შესაძლო უკანონო კავშირებს ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და ძალადობის მიზნით," - ასეთი იყო თინა ბურჯალიანის ინფორმაცია.

ბოლო დღეების განმავლობაში, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ქართველი ხალხისთვის ცნობილი გახდებოდა, ვინ აპირებდა საქართველოში დაბრუნებას და სიტუაციის მართვას.

მთავარმა პროკურატურამ საფრანგეთის ჟანდარმერიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ტექსტობრივი, ვიდეო და ფოტომასალა, ასევე, თარგმანი გაავრცელა. გავრცელებულ მასალებში ქარეთველ "კანონიერ ქურდებთან" ერთად, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ფიგურირებს. დოკუმენტაციაში საუბარია "კანონიერ ქურდებთან" შეხვედრებზე საფრანგეთში. კერძოდ, საფრანგეთის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით, კანონიერ ქურდ ლევან ლორთქიფანიძესთან შეხვედრებში გიორგი ხაინდრავა ფიგურირებს.

ინფორმაციის თანახმად, ხაინდრავა იმყოფებოდა კანონიერ ქურდებთან შეხვედრაზე, რომლებსაც მხარდაჭერის სანაცვლოდ, გავლენის აღდგენას ჰპირდებოდა. მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ მასალას "24 საათი" უცვლელად გთავაზობთ.

"ყოფილი ქართველი მინისტრისა და ე.წ. "კანონიერი ქურდების" შეხვედრა საფრანგეთში

"ვინ ვართ ჩვენ და რა არის ჩვენი მიზანი: ჩვენი უწყება სახელმწიფო ჟანდარმერიას ეკუთვნის (თავდაცვის სამინისტრო), თუმცა ბრძანებებს შინაგან საქმეთა სამინისტროდან იღებს. ჩვენ კავშირი არ გვაქვს სახელმწიფო პოლიციასთან. სასამართლო გამოძიებას ვაწარმოებთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიმართ, მათ შორის კანონიერი ქურდებისა და სხვა მაფიოზური ორგანიზაციების წინააღმდეგ. ჩვენი უწყება უკვე 5 წელია, რაც მონიტორინგს უწევს საფრანგეთში მოქმედ "კანონიერ ქურდებს". მათ შესახებ ძალიან კარგი ცოდნა მივიღეთ და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან საკმაოდ მყარი და ძლიერი ქსელი ჩამოვაყალიბეთ. აღნიშნულ უწყებებთან ახლო ურთიერთობა და სრული ნდობა გვაქვს. აქტიურად ვმონაწილეობთ ინტერპოლის "მილენიუმის" პროექტში და ზემოხსენებულ პროექტს ვახორციელებთ საფრანგეთის შესაბამისი უწყებებისათვის ცნობილი მონაცემებით. ახლახან საფრანგეთში ფართომასშტაბიანი სასამართლო პროცედურები ჩატარდა "კანონიერი ქურდების" ("იავა" ძმები შუშანაშვილების) და "კავკასია" (ლორთქიფანიძის) წინააღმდეგ. ამჟამად გამოძიებას ვაწარმოებთ საფრანგეთში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ფაქტზე, ჩადენილი კანონიერი ქურდების მიერ, რომლებიც ევროპის მასშტაბით მოქმედებენ. ჩვენი მიზანია, "კანონიერი ქურდებისგან" და მათი მიმდევრებისგან მომავალი საფრთხე ავარიდოთ საფრანგეთს და დავეხმაროთ სხვა ქვეყნებს. ამდენად, საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მხრიდან გვინდა, ძლიერი მხარდაჭერა, იმისათვის, რომ დავამარცხოთ მსგავსი ორგანიზაციები და ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ. სურვილი გვაქვს, საქართველოს შესაბამის ორგანოებს დავეხმაროთ ე.წ. "ორგანიზებულ დანაშაულთან" და "კანონიერ ქურდებთან" დაკავშირებული ყველა პირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ პატივს არ ვცემთ იმ ადამიანებს, რომლებიც მოქმედებენ დამნაშავეებთან ერთად".

მტკიცებულებები

"2011 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით, "კანონიერ ქურდ" რევაზ ლორთქიფანიძისა და მისი მიმდევრების მიმართ მიმდინარეობდა სამართლებრივი პროცედურები. ლორთქიფანიძე დაკავებულ იქნა საფრანგეთში 2011 წლის თებერვალში, ხოლო გათავისუფლების შემდეგ (2011 წლის სექტემბერში) დასახლდა სამხრეთ საფრანგეთში და განაახლა კრიმინალური საქმიანობა. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, ხორციელდებოდა სატელეფონო საუბრების მონიტორინგი, ასევე რევაზ ლორთქიფანიძის სახლთან დამონტაჟებულ იქნა ფარული ვიდეო კამერა. 2011 წლის ნოემბერში, იმ დროისათვის ჯერ კიდევ დაუდგენელმა პირმა, ქართულ ენაზე განახორციელა სატელეფონო საუბარი რევაზ ლორთქიფანიძესთან. დაუდგენელი პირი იყო სახელად "გოგი", იგი ითხოვდა შეხვედრას ლორთქიფანიძესთან. საბოლოოდ, შეთანხმდნენ შეხვედრაზე ლორთქიფანიძის სახლში. "გოგი" მივიდა ლორთქიფანიძის სახლში 9 ნოემბერს. იმავე დღეს, რამდენიმე უცხო ადამიანი შეიკრიბა ლორთქიფანიძის სახლში. შეხვედრა ჩაწერილია ფარულ კამერაზე (ხმის ჩაწერა ვერ მოხერხდა). შეხვედრა ყველა მონაწილემ დატოვა იმავე ღამეს, ხოლო "გოგიმ" შეხვედრის ადგილი დატოვა 2011 წლის 11 ნოემბერს, გამთენიისას".

"2011 წლის 18 ნოემბერს, სამხრეთ საფრანგეთში ჩატარდა მასშტაბური ოპერაცია პოლიციის მიერ, დაკავებულ იქნა 23 პირი (უმრავლესობა ქართული და სომხური წარმომავლობის). დაკავებულთა შორის იყო რევაზ ლორთქიფანიძე, როგორც ყოველთვის, ვერანაირი ჩვენება ვერ იქნა მიღებული მისგან. ლორთქიფანიძის პირადი მცველი, ჩეჩნური წარმომავლობის მურად იდიგოვი ფლობდა არაერთ ფოტოს თავის კუთვნილ მობილურ ტელეფონში (მათ შორის რამდენიმე ფოტო "გოგისთან" ერთად).

შეხვედრაში მონაწილე "კანონიერი ქურდები": რევაზ ლორთქიფანიძე, არტურ იუსბაშევი, გოგი მაისურაძე, ვაჟა ბიგანიშვილი, რამაზ ჯინჭარაძე, თამაზ გოგოლაძე და სულხან თვალჭერელიძე.

"გოგი"-ს მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

გიორგი ხაინდრავა, ყოფილი ქართველი მინისტრი, რეჟისორი.

საფრანგეთში ჩამოვიდა 4 ნოემბერს, თავისი ბოლო ნამუშევრის (ფილმის) პრეზენტაციისთვის, შემდგომში გაემგზავრა სამხრეთ საფრანგეთში ლორთქიფანიძესთან შესახვედრად. იგი მონაწილეობდა ლორთქიფანიძის ბინაში 9 ნოემბერს "კანონიერი ქურდების" შეკრებაში. საფრანგეთი დატოვა 11 ნოემბერს და გაემგზავრა საქართველოში.

არსებული ინფორმაციით, საქართველოში ზოგიერთმა ოპოზიციურმა ლიდერმა დაამყარა ახლო ურთიერთობა "კანონიერ ქურდებთან", რომლებსაც შესწევთ უნარი, აღმოუჩინონ სათანადო დახმარება არსებული ხელისუფლების დამხობის მიზნით. ცნობილია, რომ "კანონიერ ქურდებს", როდესაც საჭიროა, შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ყოფილი "მხედრიონის" მსგავსი შეიარაღებული დაჯგუფებები. მათ შეიძლება, გააჩნდეთ დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა. დახმარების სანაცვლოდ, "კანონიერ ქურდებს" "ახალი რეჟიმისგან" მიეცემათ საქართველოში წარსულში არსებული სტატუსისა და ზეგავლენის აღდგენის შესაძლებლობა. აშკარაა, რომ "კანონიერი ქურდებს", მიუხედავად იმისა, დაკავშირებული არიან ტარიელ ონიანთან თუ ასლან უსოიანთან, შესწევთ უნარი, დაივიწყონ მტრობა საერთო მიზნის მისაღწევად".

ინფორმაციის დამატებითი დეტალები

"2011 წლის 9 ნოემბერს, კრესელში, ლორთქიფანიძის საცხოვრებელ სახლში შედგა შეხვედრა, რომელსაც ლორთქიფანიძის გარდა ესწრებოდა ქართველი კრიმინალი, ე.წ. თბილისის კლანის წარმომადგენელი ზაზა პაიჭაძე და ყოფილი ქართველი მინისტრი (ტექსტში წერია შევარდნაძის დროინდელი ყოფილი მინისტრი) და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავა. ფრანგი სამართალდამცავები, კერძოდ ეროვნული ჟანდარმერია, რომლის გამოძიების ფარგლებშიც იქნა მოპოვებული ინფორმაცია და მტკიცებულებები ამ შეხვედრის შესახებ, დაასკვნის, რომ გოგა ხაინდრავამ შეხვედრაზე მოითხოვა კანონიერი ქურდების დახმარება საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. კანონიერი ქურდების გავლენის, ფინანსური და შესაძლო შეიარაღებული დახმარების სანაცვლოდ, ხაინდრავამ მათ აღუთქვა საქართველოში დაბრუნება და გავლენის აღდგენა. ჟანდარმერიისთვის ცნობილია, რომ ხაინდრავა და სხვა ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები გაერთიანდნენ ერთი ლოზუნგის ქვეშ რათა არჩევნებში დაამარცხონ დღევანდელი ხელისუფლება. კანონიერი ქურდების დახმარება მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: 1) მათ შეუძლიათ ზეწოლა მოახდინონ ქართულ დიასპორაზე, რათა მათ არჩევნებში მხარი ოპოზიციას დაუჭირონ; 2) ადამიანური რესურსითა და შეიარაღებით დაეხმარონ ოპოზიციას საქართველოში სახელწიფო გადატრიალების - coup detat - მოწყობაში იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში ოპოზიცია გამარჯვებას ვერ მოიპოვებს".

დასკვნა

"ზემოხსენებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამოყენებულა საფრანგეთში, ვინაიდან შემხებლობაში არაა საფრანგეთში მიმდინარე გამოძიებასთან. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია დაეხმარება საქართველოს შესაბამის ორგანოებს, რათა აღკვეთონ შეთქმულება არსებული ხელისუფლებისა და დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. სატელეფონო საუბრების სრული მონიტორინგი ხელმისაწვდომი შესაძლოა, გახდეს საქართველოს მოსამართლისათვის (მოგაწვდით ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რაც საჭიროა აღნიშნული საკითხის გამოსაძიებლად). ჩვენ ასევე გაგვაჩნია სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ამ ეტაპისთვის არ არის ბოლომდე გაანალიზებული, მაგრამ ცხადია, რომ მათი შინაარსი მითითებული ინფორმაციის იდენტური მნიშვნელობისაა. ახალი ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს შესაბამის ორგანოებს იმავე გზით (იგულისხმება შუამდგომლობა)".

გოგა ხაინდრავა დაკითხვაზე

საფრანგეთიდან მიღებული მასალების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი საგამოძიებო ორგანოში დასაკითხად დაიბარეს. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობამდე, გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ "კანონიერი ქურდი" რეზო ლორთქიფანიძე იყო, არის და იქნება მისი მეგობარი.

ხაინდრავა განმარტებებს საფრანგეთის ელჩისგან და მთავრობისაგან ითხოვს და აცხადებს, რომ მათთან გარკვეული კითხვები გააჩნია.

"გამომზეურდეს ყველა დოკუმენტი, მე არავისთვის არ დამიმალავს, რომ რეზო ლორთქიფანიძეს ვიცნობ და როდესაც საფრანგეთში ვიყავი, იგი ვნახე. ეს დოკუმეტები საქართველოს პროკურატურისთვის საფრანგეთის ჟანდარმერიას არ გადმოუცია, ეს სხვა ორგანოა, რომელიც "კანონიერი ქურდების" გადაადგილებას აკვირდება," - განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, აღნიშნული მასალა მაშინ გადაიღეს, როცა ნოემბერში, აფხაზეთის ომის ოცი წლისთავზე გამართულ კონფერენციაზე ჩავიდა. ამ ვიზიტის დროს, მან მართლაც მოინახულა რევაზ ლორთქიფანიძე და მასთან ერთად რესტორანში და შემდეგ ერთ-ერთი ემიგრანტის სახლში მივიდნენ. ხაინდრავამ კატეგორიულად უარყო რაიმე პოლიტიკური შინაარსის დიალოგის არსებობა მასსა და ლორთქიფანიძეს შორის.

"ეს არის საქართველოს პროკურატურის ტექსტი თუ იმ უწყების, რომელიც მონიტორინგს აწარმოებს? და თუ ეს არის საფრანგეთის ჟანდარმერიის პოზიცია, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ვალდებულნი არიან, დამიბარონ და დამკითხონ. თუ საფრანგეთში ჩასვლა უნდათ, იქ ჩავალ, თუ არადა მზად ვარ, საქართველოში საფრანგეთის საელჩოში შესაბამის უწყებას გავცე პასუხები, მაგრამ ასეთი კითხვები არ არსებობს. კითხვები რომ არსებულიყო, ვფიქრობ, წელიწადნახევარში ფრანგებს ნამდვილად ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ დაინტერესებულიყვნენ," - განაცხადა გოგა ხაინდრავამ დაკითხვამდე. ის მოწმის სტატუსით, ვაკის პოლიციის მთავარ სამმართველოში ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან ერთად მივიდა. სამსაათიანი დაკითხვის შემდეგ, მან პოლიციის შენობა დატოვა. **"დაკითხვამ კორექტულად ჩაიარა. აინტერესებდათ, რა ურთიერთობა მქონდა რევაზ ლორთქიფანიძესთან. დასმულ შეკითხვებს პასუხები გავეცი. ლორთქიფანიძესთან ურთიერთობა დამალული არასდროს მქონია და არც ეხლა დამიმალავს,"** - განაცხადა დაკითხვიდან გამოსულმა გოგა ხაინდრავამ.

ფრანგული მასალების ქართული შეფასებები

"არასერიოზული, არასაკმარისი, სასაცილო, შეთითხნილი," - ასე ერთხმად შეფასდა "ქართულ ოცნებაში" მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული მასალები. "ქართულ ოცნებაში" გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლებმა და კოალიციის ლიდერმა "ქურდულ სმყაროსთან" კავშირში" ხელისუფლება დაადანაშაულეს და ფრანგული ჟანდარმერიის მასალებში ეჭვი შეიტანეს. **"ეს იყო მხოლოდ ვარაუდები, რაც მტკიცებულებად ვერ გამოდგება და არანაირი სამართლებრივი ძალა არ გააჩნია,"** - ასეთი შინაარსის განცხადებები გააკეთეს კოალიციის წევრებმა.

ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ექსპერტების შეფასებით კი ამ ყველაფრის უკან გარკვეული ძალები დაგანან, რომლებსაც მართლაც აწყობთ ქვეყანაში დესტაბილიზაცია და მძიმე წარსულის დაბრუნება.

"საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერია არ არის პოლიტიკურად მოტივირებული და მისი კვლევები არის დამაჯერებელი. ეს არის სერიოზული ორგანიზაცია და აკეთებს ისეთ დასკვნებს, რომლის შესტყვისი უტყუარი მტკიცებულებებიც გააჩნია. საუბარია დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაზე და მის დამხობაზე. საერთასორისო კრიმინალური წრეები ცდილობენ ქართულ ორბიტაზე "ქურდული სამყაროს" შემობრუნებას, "ქართული ოცნება" თავს უხერხულ მდგომარეობაში იგდებს. პროკურატურამ უნდა განახორციელოს საზოგადოების მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ არასოდეს ჩვენს ქვეყანაში არ უნდა დავუშვათ კრიმინალური ანარქია და ამის ნებისმიერი მცდელობა აღკვეთილი უნდა იყოს," - ასეთია ხელისუფლების პოზიცია.

უძრავი ქონების ბაზარი

საჯარო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, 2012 წლის აგვისტოში, უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციებმა ქვეყნის მასშტაბით 225 795 ერთეული შეადგინა. შესაბამისად, მიმდინარე წლის აგვისტო, 2007-2011 წლების იმავე თვესთან შედარებით, "ნახტომისებრი" ზრდით გამოირჩევა. მაგალითად, 2007 წლის აგვისტოში 46 039 სარეგისტრაციო ტრანზაქცია აღინუსხა, 2008 წლის აგვისტოში - 19 495 ერთეული, 2009 წლის აგვისტოში - 28 761, 2010 წლის იმავე თვეში - 32 596, ხოლო 2011 წლის აგვისტოში - 43 715 ერთეული, რაც 5,2-ჯერ მეტია გასული ერთი თვის მაჩვენებელთან.

სარეგისტრაციო ტრანზაქციების ზრდა დაფიქსირდა, როგორც პირველად, ისე მეორად უძრავ ქონებაზე. მაგალითად, 2012 წლის აგვისტოს თვეში, პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 142 079, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 83 716 ერთეული შეადგინა. სახელმწიფო უწყებებში ფიქრობენ, რომ მსგავსი "ნახტომი" უძრავი ქონების ბაზარზე, უპირატესად განაპირობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების უსასყიდლო რეგისტრაციის პოლიტიკამ, რომელიც მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობისკენაა მიმართული. დამოუკიდებელი ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ის საბანკო ვალდებულებებია, რომელიც იპოთეკით არის დატვირთული და მევალეების მხრიდან ბანკებისთვის ამ ქონების გადაფორმება ხდება. ნაწილი კი ფიქრობს, რომ გარკვეული აქტივობა უძრავი ქონების ბაზარზე 2008 წლის მოვლენებისა და კრიზისის შემდეგ მართლაც შეინიშნება, მაგრამ, ამჯერად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

"ილიან ბიზნეს რევიუს" მკვლევარი გიორგი აბაშიშვილი აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების ბაზარს თუ შევადარებთ კრიზისის შემდგომ პერიოდს, ამ თვალსაზრისთ გარკვეული აქტივობა ნამდვილად შეინიშნება. "ილიან ბიზნეს რევიუს" კვლევებით დასტურდება, რომ უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვანი რყევები არ არის. არის გარკვეული ბიძგები, მაგრამ უმნიშვნელო. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები ცდილობენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და უკეთეს საცხოვრებელს ყიდულობენ. თუმცა, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ამ ეტაპზე შეინიშნება ერთგვარი მოლოდინის რეჟიმი, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია საარჩევნო პერიოდთან. საუბარია იმაზე, რომ ადამიანების ერთ ნაწილს, კვლევის დაკვირვებით, მიაჩნია, რომ გარკვეული ტიპის შესყიდვებს, მათ შორის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულს, არჩევნების შემდეგ გააკეთებს. ეს არ არის აბსოლუტური მოცემულობა, თუმცა გამოკითხვისას გვხვდება ადამიანთა კატეგორია, ვინც ასე ფიქრობს და არჩევნებამდე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისგან თავს იკავებს. გარკვეულწილად მათი პოზიცია გასაგებია.

რაც შეეხება ბანკებისა და კლიენტების ურთიერთობას, ეს სამწუხარო რეალობა ნამდვილად არის საქართველოში და უკავშირდება იმას, რომ ადამიანების ერთ ნაწილს, ქონება იპოთეკით ჰქონდა დატვირთული და კრიზისის შემდეგ ეს ქონება ბანკების ხელში აღმოჩნდა.

ფასები უძრავ ქონებაზე - თუ სწორებას ავიღებთ კრიზისამდელ ანუ 2008 წლამდე პერიოდზე, თბილისში, რიგ უბნებში, ბევრად უფრო მაღალი ფასები იყო მაშინ, ვიდრე დღეს არის აღნუსხული. მაგრამ, იგივე "ილიან ბიზნეს რევიუს" კვლევებით, თუ დღევანდელ დღეს 2008 წლის შემდგომ პერიოდს შევადარებთ, ფასების მატება ნამდვილად აღინიშნება. "ილიან ბიზნეს რევიუს" პროგნოზით, ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე საქართველოში ნამდვილად არის მოსალოდნელი და არცთუ უმნიშვნელო, ოღონდ არჩევნების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება საკმაოდ შთამბეჭდავი ზრდა.

გიორგი აბაშიშვილის თქმით, დედაქალაქის გარდა უძრავი ქონების ბიზნესი გააქტიურებულია საქართველოს კიდევ რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ბათუმში. უახლოეს ხანში, პარლამენტის გადატანის გამო, მნიშვნელოვნად გამოცოცხლდება უძრავი ქონების ბაზარი ქუთაისში და თბილისის შემდეგ, სულ მცირე ორი ქალაქი იქნება საქართველოში, სადაც უძრავი ქონების გაძვირება იქნება მოსალოდნელი. ბოლო დროს ეკონომიკური აქტივობა ასევე შეინიშნება სამეგრელოში, შავი ზღვისპირა ზოლში, სადაც ასევე უნდა ვივარაუდოთ ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე. შესაძლებელია იგივე ტენდენცია ცალკეულ ტურისტულ ზონებში, მაგალითად წყალტუბოში, ბაკურიანში და სხვა.

ავტომობილების რეექსპორტი - ლიდერი საექსპორტო ათეულში

სოფო ჩიხლაძე

მსუბუქი ავტომობილები საქართველოს საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზეა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში, სადაც იანვარ-ივნისის შედეგებია დაჯამებული, აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში ქვეყნიდან 319 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი განხორციელდა. რეალურად კი ეს რეექსპორტის მაჩვენებელია, რადგანაც ქვეყანა ავტომობილებს არ აწარმოებს. 2011 წლის მონაცემებს თუ გადავავლებთ თვალს. საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნებში გაყვანილი მსუბუქი ავტომობილების ჯამურმა ღირებულებამ 450 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გასულ წელთან შედარებით გაზრდილია მსუბუქი ავტომობილების როგორც იმპორტის, ასევე რეექსპორტის მაჩვენებელი. 2010 წელთან შედარებით, შარშან საქართველოში ავტომობილების იმპოტრტმა 10 პროცენტით მოიმატა. წელს კი მხოლოდ ექვსი თვის მანძილზე ასევე 10 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. რაც შეეხება რეექსპორტს, ზრდის მაჩვენებელი აქაც საკმაოდ მაღალია. 2012 წელს ქვეყანაში შემოყვანილი ავტომობილებიდან დიდი ნაწილი რეექსპორტზე - ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში გაიყვანეს.

საქართველოში ავტომობილების იმპორტის და რეექსპორტის ბაზარი საკმაოდ განვითარებული და მზარდია. ქვეყანაში მეორადი ავტომობილების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანია "კავკასიის ავტოიმპორტის" დირექტორი გიორგი სუპატაშვილი ამბობს, რომ საქართველო ავტომობილებით ვაჭრობის თვალსაზრისით კავკასიაში ერთგვარი ცენტრი გახდა, და ახლა ქართველები ცდილობენ, შუაზიის ბაზრებზე გავიდნენ. **"საქართველოში ავტომობილების იმპორტისა და რეექსპორტის ბაზარი საკმაოდ განვითარებულია, რაშიც დიდი როლი სხვადასხვა ფაქტორმა ითამაშა... რუსთავის ავტობაზრობა მოეწყო, ფოთსა და ბათუმში გეზები გაიხსნა. ადრე თუ მანქანის მიღება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ახლა ყველაფერი მაქსიმალურად გამარტივებულია. ბაზრის განვითარებას ასევე ხელი შეუწყო იმან, რომ ჩვენმა კომპანიამ ფილიალები გახსნა და შესაბამისად კლიენტები მოვიზიდეთ. ამავდროულად, თუ ადრე დილერს 10 ათასი დოლარით ერთი მანქანა ჩამოყავდა, ჩვენ მათ დაფინანსება გავუკეთეთ და ახლა 10 ათასი დოლარით სამი მანქანის შეძენა შეუძლიათ. ჩვენგან მიღებულ თანხას კი ავტომობილების გაყიდვის შემდეგ გვიფარავენ. მოთხოვნის არსებობა რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ თუ ბაზარზე საკმარისი მანქანები არ არის, მოთხოვნაც არ იქნება. ამიტომ შევეცადეთ, რომ ბაზარი გაგვეზარდა,"** - გვითხრა გიორგი სუპატაშვილმა.

"კავკასიის ავტოიმპორტს" დღეს საქართველოს მასშტაბით 42 ფილიალი აქვს. ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი ფილიალები ფუნქციონირებს აზერბაიჯანში, ყირგიზეთში და სომხეთში. ბაქოს წარმომადგენლობა ახალი არ არის, თუმცა ბოლო ერთი თვის განმავლობაში იქ ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა - პირობები დაიხვეწა, დილერებისთვის დაფინანსება გაკეთდა ა.შ. რაც შეეხება სომხეთის წარმომადგენლობას, ის ტერიტორიული სიახლოვის გამო, ძირითადად ქართულ ბაზარზეა მიბმული. ყირგიზეთში კი "კავკასიის ავტოიმპორტის" ფილიალი ერთი თვის წინ გაიხსნა და მოთხოვნა უკვე საკმაოდ დიდია. **"საქართველოში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან დილერები ჩამოდიოდნენ და ვხედავდით, რომ ამ ქვეყნებში მოთხოვნა იზრდებოდა... დღეს ადგილობრივ ბაზარზე ასეთი სურათია, მაგალითად აზერბაიჯანის შემთხვევაში თუ ადრე 100 პროცენტიდან 90 პროცენტი დილერები ყიდულობდნენ მანქანებს, ახლა 70 პროცენტი ფიზიკური პირი ჩამოდის. აზერბაიჯანიდან დამოუკიდებლად რომ შეუკვეთონ მანქანები ორთვენახევარი მაინც უწევთ ლოდინი, ამიტომ ურჩევნიათ საქართველოში ჩამოვიდნენ, ქართველი დილერები მიზერულ მარჟაზე მუშაობენ და აქედან გამომდინარე აზერბაიჯანლები დაახლოებით 3 ათასი დოლარით იაფად ყიდულობენ მანქანებს. შაბათ-კვირასაც კარგად ისვენებენ და უკან ბრუნდებიან.... რაც შეეხება ყირგიზეთს, ჩვენ იქ კვლევა ჩავატარეთ. დიდი ბაზარია და შესაბამისად მოთხოვნაც იყო. ერთი თვეა რაც ფილიალი გავხსენით და დაახლოებით ასი მანქანა გავუშვით ყირგიზეთში. ერთი თვის წინ გახსნილი ფილიალისთვის, ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია,"** - გვითხრა გიორგი სუპატაშვილმა.

კომპანია მოკლე პერიოდში წარმომადგენლობის გახსნას ყაზახეთში გეგმავს. ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში ცვლილების შემდეგ, ყაზახეთში საქართველოდან მანქანის შეყვანა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს 10 ათასი დოლარით გაუძვირდათ, სწორედ ამიტომ, პარტნიორების შეთავაზების საფუძველზე, "კავკასიის ავტოიმპორტი" ასტანაში წარმომადგენლობის გახსნას აპირებს.

საქართველოში იმპორტირებული მეორადი ავტომობილების დიდი ნაწილი გერმანიიდან შემოდის. საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა ამერიკულ მანქანებზე. აზერბაიჯანელები კი ძირითადად დუბაიდან ჩამოყვანილ მანქანებს ყიდულობენ.

ახალი ავტომობილების რეექსპორტი მეზობელ ქვეყნებში ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, თუკი კონკრეტული ბრენდებს წარმომადგენლობები იქ არ არის გახსნილი.

"იბერია ბიზნეს ჯგუფს" 7 ბრენდის - "შკოდა"-ს, "ფოლცვაგენი"-ს, "აუდი"-ს, "კია"-ს, "მიცუბიშის", "პეჟო"-ს და "რენო"-ს ავტომობილები შემოაქვს. ახალი მანქანების რეალიზების მიმართულებით საქართველოში კომპანიას 35 პროცენტიანი წილი უკავია. რაც შეეხება რეექსპორტს**"ავტომობილებს, რომლებიც რეექსპორტზე გაგვყავს, საქართველოს თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოხვედრის შემდეგ იქ რჩება და მერე საშუამავლო კომპანიების დახმარებით სხვადასხვა ქვეყნებზე ნაწილდება, ისე, რომ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარს არ კვეთს. ავტომობილები გაგვყავს აფრიკის ქვეყნებში, უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანში და ა.შ."** - გვითხრა კომპანია "იბერია ბიზნეს ჯგუფი"-ს კორპორატიული გაყიდვების მენეჯერმა ლანა მაქაცარიამ.

რეექსპორტზე არსებული მაღალი მოთხოვნის გამო, საქართველოში ავტობაზარზე კონკურენცია საკმაოდ მძლავრია. ქვეყანაში ავტომობილების იმპორტ-რეექსპორტით 120-ზე მეტი კომპანიაა დაკავებული. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ავტომობილების რეექსპორტში მეორადი ბაზარი ლიდერობს. როგორც საქართველოში, ისე რეექსპორტზე ყველაზე მოთხოვნადი "ე" კლასის მერსედესებია. მეორე ადგილზეა "ბეემვე"-ს ბრენდის ავტომობილები. რაც შეეხება ღირებულებას, თუ გასულ წელს საშუალო ფასი 7-8 ათას აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ახლა ეს მაჩვენებელი 10 ათასი დოლარია.

ობამამ გლობალური ექსტრემიზმი დაგმო

სამშაბათს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა. მან გლობალური ექსტრემიზმი დაგმო და ამისკენ მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების ლიდერებსაც მოუწოდა.

ამერიკის პრეზიდენტმა თავისი სიტყვა იმ გამოსვლებისა და არეულობების შესახებ საუბრით დაიწყო, რომლებიც მუსლიმანურ ქვეყნებში მოჰყვა ინტერნეტით გავრცელებულ მოკლემეტრაჟიან ფილმს წინასწრმეტყველ მუჰამედზე. ობამამ დაგმო ის ძალადობა, რომელმაც ისლამური სამყარო "საზიზღარი" ფილმის პასუხად მოიცვა. ობამამ პატივი მიაგო ბენღაზიში დაღუპულ ამერიკის ელჩს ლიბიაში. პრეზიდენტის სიტყვებით, "ჩვენს მომავალს განსაზღვრავენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყო კრისტოფერ სტივენსი და არა მისი მკვლელები."

ობამამ ირანის ბირთვულ პრობლემაზეც ილაპარაკა და განაცხადა, რომ ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა ამ ქვეყანამ ატომური იარაღი ვერ შექმნას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო "შეეჯახება გამოწვევას, რომელთან გამკლავებაც შეუძლებელი იქნება."

ამერიკის პრეზიდენტს, ფაქტობრივად, არ უსაუბრია სირიის შესახებ. ეს საკითხი არც იყო შეტანილი გაერო-ს გენერალური ასამბლეის გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში, თუმცა სირიის თემა მუდმივად ფიგურირებს ასამბლაზე. ჯერ კიდევ სესიის გახსნისას გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა სირიის კონფლიქტს უწოდა რეგიონული კატასტროფა, რომელსაც გლობალური შედეგები ექნება. გუშინ, სავარაუდოდ, ამ თემას შეეხებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, რომელიც პირველად გამოვიდა გენერალურ ასამბლეაზე და კატარის ემირი, შეიხი ჰამად ბინ ხალიფა ალ-ტანი.

გაერო-ს და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სპეცწარმომადგენელი სირიაში ლახდარ ბრაჰიმი უკვე იმყოფებოდა დამასკოშიც და სირიელ ლტოლვილთა ბანაკებშიც თურქეთსა და იორდანიაში. მისი სიტყვებით, იქ სიტუაცია ძალიან სწრაფად მძიმდება. არც გაერო-ს აქვს ბრაჰიმის მისიის დიდი იმედი, რადგან უშიშროების საბჭოშიც არ არის ერთიანი პოზიცია სირიის მიმართ. სხვათა შორის, ბრაჰიმიც გეგმავს მოსკოვსა და პეკინში ჩასვლას პოზიციების შესაჯერებლად.

ობამას გამოსვლა მთლიანად საგარეო პოლიტიკას და მსოფლიოში არსებულ პრობლემებს ეხებოდა, თუმცა მას მაინც დაკრავდა "წინასაარჩევნო" ელფერი. თავის სიტყვაში ობამამ მაინც უპასუხა იმ კრიტიკას, რომელიც მიტ რომნის და მისი გუნდის მხრიდან მოდიოდა, თუნდაც ირანის ბირთვული პრობლემის და ისრაელთან დამოკიდებულების გამო.

მიმომხილველების აზრით, ობამას ახალი არაფერი უთქვამს და მან, ფაქტობრივად, ისევ ის გაიმეორა, რაზეც პერიოდულად საუბრობდა ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში. ობამა არ ჩქარობს, დაეთანხმოს ისრაელის პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუს მოთხოვნას ირანისთვის "წითელი ხაზების" გავლების შესახებ, რის შემდეგაც ძალის გამოყენება გარდაუვალი გახდება. სავარაუდოდ, ამ მოთხოვნას გაერო-ს ტრიბუნიდან ნეთანიაჰუც გაიმეორებს.

"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით მოამზადა ზადა ივა შილაკაძემ

ლონდონი აშშ-ს ისლამისტ აბუ ხამზას მალე გადასცემს

სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ საბოლოოდ დაუშვა დიდი ბრიტანეთიდან აშშ-ში ხუთი ადამიანის ექსტრადაცია, რომელთაც ბრალად ედებათ ტერორიზმში მონაწილება. მათ რიცხვში შედის, რადიკალი მუსულმანი მქადაგებელი აბუ ხამზაც.

ევროპული სასამართლოს ე.წ. დიდმა პალატამ გადაწყვიტა, რომ არ გადაეხედა აბუ ხამზასა და კიდევ ოთხი ისლამისტის ექსტრადაციის საკითხისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ხუთივე მათგანი უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში აშშ-ს შეიძლება გადაეცეს. ბრიტანეთის ხელისუფლება წლების განმავლობაში ცდილობდა აშშ-ში აბუ ჰამზას ექსტრადაციას.

შეერთებულ შტატებში აბუ ჰამზას წინააღმდეგ წაყენებულია ბრალდება 11 მუხლით. კერძოდ, მას ბრალად ედება შეთქმულებაში მონაწილეობა, რომლის მიზანიც იყო იემენში დასავლელი მძევლების აყვანა, ტერორიზმის დაფინანსება და ტერორისტების მოსამზადებლად ბანაკების ორგანიზება 1998-2000 წლებში ორეგონის შტატში.

ამ დროისთვის აბუ ხამზა ბრიტანეთში იხდის შვიდწლიან სასჯელს, ძალადობის პროპაგანდისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების ბრალდებით.

აბუ ხამზასა და დანარჩენი ისლამისტების ადვოკატების მტკიცებით, აშშ-ში ექსტრადირების შემთხვევაში მათი დაცვის ქვეშ მყოფთ ელით სამუდამო პატიმრობა, კოლორადოს განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში, ერთადგილიან საკნებში. მათ ასევე განახადეს, რომ აშშ-ში ეჭვმიტანილებს, შესაძლოა, არაჰუმანურად მოეპყრან და სასჯელის გადახედვის უფლება ჩამოართვან.

2012 წლის აპრილში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილება ბრიტანეთიდან ხუთი მუსულმანის აშშ-ში ექსტრადირების შესახებ სავსებით კანონიერია და არ არღვევს ადამიანის უფლებებს, ხოლო პარასკევს დიდმა პალატამ გადაწყვიტა, ამ გადაწყვეტილებისთვის არ გადაეხედა.

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ კმაყოფილია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით და იმედოვნებს, რომ ხუთივე დამნაშავის ექსტრადაცია აშშ-ში მოკლე ვადაში მოხდება.

მათ შორის, ვინც აბუ ჰამზასთან ერთად გადაეცემა აშშ-ს, არის კომპიუტერული პროგრამისტი ბაბარ აჰმადი, რომელსაც ბრალად ტერორისტული ორგანიზაციების დასაფინანსებლად ფულის შეგროვებას სდებენ.

კიდევ ორს - ადელ აბდულ ბარისა და ჰალედ ფავაზს ბრალად 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში აშშ-ს საელჩოებზე თავდასხმაში მონაწილეობა ედებათ.

შეიხი აბუ ხამზა მასრი - ცალთვალა და ცალხელა იმამია. ის დიდი ხნის განმავლობაში რადიკალური ისლამის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო ბრიტანეთის კუნძულებზე. მისი ნამდვილი სახელი და გვარია მუსტაფა კამელ მუსტაფა. ის დაიბადა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში, ოფიცრის ოჯახში. 1979 წლს გადავიდა ბრიტანეთში, სადაც ინჟინერ-მშენებლის პროფესიას ეუფლებოდა. ბრაიტონში სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ აბუ ხამზა მუშაობდა ღამის კლუბის დაცვაში, ლონდონის რაიონ სოჰოში. 1986 წელს, როგორც ამტკიცებენ ქორწინების ხარჯზე, მან ბრიტანეთის პასპორტი მიიღო.

1990-იანი წლების დასაწყისში ის გაემგზავრა ავღანეთში, სადაც, მისი თქმით, მონაწილეობა მიიღო «ურწმუნოების წინააღმდეგ წმინდა ომში". სწორედ ამ ომში დაკარგა მან თვალი და ხელი.

ხამზა, რომელმაც თავისი რადიკალური ქადაგებით ლონდონის რაიონის ფინსბერი-პარკის მეჩეთში სკანდალური პოპულარობა მოიპოვა, ტერორიზმთან კავშირს ყოველთვის უარყოფდა.

თავისი ქადაგების დროს ის ქებით მოიხსენიებდა ოსამა ბინ ლადენს და მიესალმებოდა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში «ალ კაიდას" მიერ განხორციელებულ ტერაქტს. თავის ქადაგებაში შეკრებილებს არწმუნებდა, რომ მათი «რელიგიური მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ დახოცონ არამუსულმანები". ეს ქადაგებები იწერებოდა და მის მიმდევრებს შორის ვრცელდებოდა. 2004 წელს, ხამზას სახლის ჩხრეკის დროს 2 700 აუდიო და 570 ვიდეოჩანაწერი აღმოაჩინეს.

პოლიციამ მქადაგებლის სახლში აღმოაჩინა ასაფეთქებლების დამზადების წესები და ტერორისტული ჯგუფების შექმნის ინსტრუქცია.

ბი-ბი-სის მიხედვით მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

სადავო კუნძულებისთვის წყლის ჭავლით ბრძოლა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინ ამ კუნძულების აკვატორიას ტაივანელი მეთევზეების გემები მიუახლოვდნენ, რომლებსაც მათივე სანაპირო დაცვის კატარღები იცავდნენ. გაიმართა "ბრძოლა" წყლის ზარბაზნების გამოყენებით, რომელიც იაპონიის გამარჯვებით დასრულდა. პარალელურად, ჩინეთში უშედეგოდ დამთავრდა მოლაპარაკება კუნძულების საკითხზე ჩინეთისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებს შორის.

სადავო კუნძულების (ისინი დაუსახლებელია) გარშემო სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა ბოლო კვირებში, მას შემდეგ, რაც იაპონიის ხელისუფლებამ ხუთიდან სამი კუნძული იაპონელი კერძო მეპატრონისგან გამოისყიდა. ამას ჩინეთისა და ტაივანის პროტესტი მოჰყვა. განსაკუთრებით აქტიურობდა ხალხი ჩინეთის ქალაქებში, სადაც უამრავი თავდასხმა დაფიქსირდა იაპონურ ფირმებზე, დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე და თვით იაპონურ მანქანებზეც კი (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა "24 საათი"). მეთევზეთა გემების "არმადებსაც" აქამდე ჩინეთი აგზავნიდა სადავო კუნძულების აკვატორიაში, გუშინ კი ტაივანი გააქტიურდა.

კუნძულებს 58 ტაივანური თევზსაჭერი გემი და 8 სადარაჯო ხომალდი მიუახლოვდა. მათ სცადეს გაჭრა არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძულის უოცურიძიმასკენ, მაგრამ გზა იაპონურმა გემებმა გადაუღობეს. ტაივანელები, სხვათა შორის, აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ ხმელეთის ამ ნაგლეჯების ტერიტორიული კუთვნილების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია თევზჭერის უფლებაც. იაპონელებმა გამოიყენეს წყლის ძლიერი ზარბაზნები, ტაივანურმა სადარაჯო ხომალდებმაც იგივე იარაღით უპასუხეს. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას იაპონელები ვერტმფრენებიდან იღებდნენ და პირდაპირ ტელეეთერში უშვებდნენ. საბრძოლო ზონის თავზე საკმაოდ დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდნენ იაპონური თვითმფრინავებიც, თუმცა ისინი ბრძოლაში არანაირად არ ჩართულან. სადავო აკვატორიაში იყო შესული ოთხი ჩინური სადარაჯო ხომალდიც, თუმცა ისინიც "დამკვირვებლის" სტატუსს დასჯერდნენ. იაპონელებმა წყლის ზარბაზნებით ბრძოლა მოიგეს და ტაივანელების "არმადაც" უკან გაბრუნეს.

ჩინელების პასიურობა გუშინ ადვილად გასაგები იყო. პეკინში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ამ სადავო საკითხზე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ტიკაო კავაისა და მის ჩინელ კოლეგას - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჯან ჯიციუნს შორის. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. მხარეებს შეურიგებელი პოზიცია აქვთ და არცერთი მათგანი უკანდახვას არ აპირებს. ეს გასაგებიცაა, ჩინეთში რამდენიმე კვირაშია დაგეგმილი კომპარტიის ყრილობა, რომელზეც ქვეყნის ხელისუფლების ცვლილებაა დაგეგმილი, მალე მოდის არჩევნები იაპონიაშიც, სადაც მართველი პარტიის პოზიციები საკმაოდ შესუსტებულია. ტიკაო კავაი და ჯან ჯიციუნი ვერ შეთანხმდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზეც კი ნეიტრალურ ნიუიორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის ფარგლებში, რაც სრულ ფიასკოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

იაპონია კუნძულებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან აკონტროლებს. ჩინეთს და ტაივანს მიაჩნიათ, რომ იაპონელებმა კუნძულები ძალით დაიკავეს 1885 წელს, როდესაც ჩინეთის იმპერია დაამარცხეს. მაშინვე იაპონიამ თავის კოლონიად გადააქცია ტაივანი, თუმცა ამ კუნძულზე უარი თქვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. პეკინის და ტაიბეის ლოგიკით იაპონიამ უნდა დააბრუნოს დიაოიუიდაოკ. ტოკიო ამტკიცებს, რომ სენკაკუს კუნძულების კუთვნილებასთან არავითარი კავშირი არ აქვს 1885 წლის ომის შედეგებს. ოფიციალური ტოკიოს სიტყვებით, იაპონიამ ისინი იმიტომ შეიერთა, რომ იმ დროისთვის არავის ეკუთვნოდა.

ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲨᲘ "ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ" ᲓᲐᲭᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ

კვირას, 23 სექტემბერს ბელარუსში გამართულ საპარლამენტო არჩევნებს (ამის შესახებ გუშინ დაწვრილებით წერდა "24 საათი"), გუშინ "ტრადიციულად" მოჰყვა ოპოზიციონერთა დაკავებები. მინსკის ერთ-ერთ კერძო სასტუმროში ომონის ქვედანაყოფმა ოცზე მეტი ადამიანი დაიკავა, აქედან 17 მონაწილეობდა ახალგაზრდულ პროექტში "არჩევნების დაკვირვება: თეორია და პრაქტიკა". არ გაუმართლა სამ უცხოელ დამკვირვებელს - მილიციის განყოფილებაში ისინი ბელარუსში არაკანონიერად ყოფნაში დაადანაშაულეს. დანარჩენები კი სამ საათში გაათავისუფლეს: "ჩვენი დიდი ნაწილი მინსკიდან გაგდებული სტუდენტია ვილნიუსის ევროპული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მსმენელები ვართ, ბელარუსის მოქალაქეები. ცხადია, შესაძლოა, შეგვექმნას პრობლემები საზღვრის გადაკვეთისას, როდესაც სასწავლებელს დავუბრუნდებით. შესაძლოა, ჩვენს მშობლებს სამსახურებიდან დათხოვნით დაემუქრონ," - განაცხადა მილიციის განყოფილებაში მყოფმა დამკვირვებელმა. "ხელისუფლების კრიტიკოსების წინააღმდეგ რეპრესიები, ტრადიციულად, საარჩევნო კამპანიის შემდგომ იწყება. უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნებს დროს დასჯილი ოპონენტები ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებიათ, მათ შორის არის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ნიკოლაი სტატკევიჩი," - აღნიშნა უფლებადამცველმა ლუდმილა გრიაზნოვამ.

გუშინ გამოქვეყნდა, აგრეთვე, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ანტონიო მილოშისკის განცხადება, რომელმაც არჩევნებს კამპანიის დასაწყისიდანვე "არადემოკრატიული" უწოდა. ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ დაადგინა, რომ საარჩევნო კამპანია საწყისი ეტაპიდანვე არასამართლიანი იყო." კვირას ბელარუსში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, ეუთოსა და ევროპარლამენტის გარდა, არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ "ბელარუსში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებისაგან ძალიან შორს დგას, არც სამართლიანია და არც თავისუფალი." "აშშ მოუწოდებს ხელისუფლებას, გადადგას შესაფერისი ნაბიჯები, რათა ბელარუსმა შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულება და ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები. ასევე, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას. ბელარუსში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა, რაც პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებასაც გულისხმობს, ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა," - საუბარია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებაში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐᲗ

ორი ამერიკელი საზღვაო ქვეითის საქმე განსახილველად სამხედრო სასამართლოს გადასცეს. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება ვიდეოკლიპს, სადაც სამხედროები შეურაცხყოფას აყენებენ ავღანეთში მოძრაობა "თალიბანის" მებრძოლების ცხედრებს. შტაბის სერჟანტებს ჯოზეფ ჩამბლინსა და ედვარდ დეპტოლს, სხვა ბრალდებებთან ერთად, ადანაშაულებენ, რომ მოხსენებაში არ ჩაწერეს თვითნებური სროლების შესახებ და არც საკუთარი დაქვემდებარებულების უკადრის მოქცევას აღუდგნენ. აგვისტოში სამმა საზღვაო ქვეითმა, რომლებმაც სკანდალური ვიდეოგოლი გადაიღეს, დისციპლინარული სასჯელი მიიღეს. აღნიშნული ვიდეორგოლი ინტერნეტში იანვარში გამოჩნდა და ამერიკას ავღანეთის თალიბანთან მოლაპარაკების დაწყების პროცესი კიდევ უფრო გაურთულა.

ᲧᲐᲢᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲔᲒᲛᲐ "ᲑᲘ"-ᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ

ყატარის პრემიერ-მინისტრმა სირიის კრიზისის გადაჭრისათვის გეგმა "ბი"-ზე ისაუბრა, მისი თქმით კრიზისის არაძალადობრივი გზით მოგვარება კვლავ შესაძლებელია. "სი-ენ-ენ"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერმა შეიხ ჰამად ბინ ჯასიმ ალ ტანიმ განაცხადა, რომ აღნიშნული გეგმა თავშესაფრების შექმნას გულისხმობს, რომელიც არასაფრენ ზონასა და დიდ ჰუმანიტარულ დახმარებას მოითხოვს. "ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს და გვწამს, რომ კრიზისის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი," - აღნიშნა პრემიერმა, რომელმაც დაამატა, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი პრობლემის მხოლოდ ერთი გზით გადაწყვეტას აღიარებს "ხალხის მოკვლას ომის მოსაგებად."

პრემიერის თქმით, აღნიშნულ გეგმაში, არაბული ქვეყნების გარდა, ევროპული სახელმწიფოებიც მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა გეგმისათვის უმთავრესი იქნება "ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული დახმარება." პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყანა სირიელ მეამბოხეებს იარაღით არ ამარაგებს, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებით ეხმარებიან ლტოლვილებს.

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲡ ᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲔᲜ

გუშინ ესპანეთში მკაცრი ეკონომიის ზომების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები დაიწყო. პოლიცია წინასწარ განლაგდა ქვეყნის პარლამენტის შენობის გარშემო, რათა დემონსტრანტებს შიგ შესვლა არ მოენდომებინათ.

სამშაბათის დემონსტრაციაში ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მთავარი საპროტესტო ჯგუფის Coordinadora N25S-ის წინასწარი განცხადებით, ისინი პარლამენტში შეჭრას არ აპირებენ, მხოლოდ მის გარშემო შემოვლას გეგმავენ: "ჩვენ პარლამენტის წევრებს შენობაში შესვლაში ხელს არ შევუშლით," - აღნიშნა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა. Coordinadora N25S-ის მანიფესტში წერია: "დემოკრატია მოიტაცეს. 25 სექტემბერს ჩვენ მის დასაცავად გამოვალთ." ევროზონის ქვეყნებიდან ესპანეთში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება.

მოამზადა თამთა კახაძემ

ეჰუდ ბარაკის ახალი გეგმა

ხათუნა გაბიევი

ეჰუდ ბარაკი

"დადგა გაყოფის დრო" - ასეთია ისრაელის თავდაცვის მინისტრის ეჰუდ ბარაკის მიდგომა. ის მიიჩნევს, რომ ისრაელმა უნდა დატოვოს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს დიდი ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ პალესტინელებთან გაჭიანურებული სამშვიდობო მოლაპარაკებები, საბოლოო ჯამში, სასურველ შედეგს მაინც არ გამოიღებს. ათობით ებრაული ოჯახის ევაკუაციის ინიციატივაზე ისრაელის თავდაცვის მინისტრმა გაზეთ "ისრაელ ხაიომთან" ინტერვიუში ისაუბრა. "მოვიდა დრო, მივიღოთ გარკვეული გადაწყვეტილება, რომელიც დაფუძნებული იქნება არამარტო იდეოლოგიასა თუ ემოციებზე, არამედ უმთავრეს საფუძვლად რეალობის ცივი გონებით აღქმა დაედება", - განაცხადა ეჰუდ ბარაკმა.

თუმცა, მისი თქმით, ებრაულ დასახლებათა ის კვარტლები, სადაც მოსახლეობის 90 პროცენტს ებრაელები შეადგენენ, ასევე მაღლობები "ბენ გურიონის" აეროპორტის მახლობლად მაინც ისრაელის იურისდიქციაში დარჩება. "ბარაკის გეგმის" თანახმად, ისრაელი აგრეთვე შეინარჩუნებს სამხედრო კონტიგენტს იორდანიასთან სასაზღვრო პერიმეტრზე. ისრაელის მხრიდან ერთგვარ დათმობაზე წასვლა მას შემდეგ გადაწყდა, რაც პალეტინის ავტონომიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. კონსენსუსის იმედი თითქმის გადაეწურათ მხარეებს 2010 წელს, როდესაც ისრაელმა ებრაული დასახლებების მშენებლობა დაიწყო. ისრაელის მისამართით პალესტინის ავტონომიის მხრიდან გაფრთხილებაც გაისმა, კერძოდ, მაჰმუდ აბასმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებების განახლებას იმ დრომდე არ დათანხმდება, ვიდრე ისრაელი ებრაული დასახლებების მშენებლობას არ შეწყვეტს. აბასი ასევე მოითხოვს, რომ პალესტინის მომავალი სახელმწიფოს საზღვარი უნდა გახდეს ცეცხლის შეწყვეტის წინაპირობაც. საუბარია 1967 წლის ომამდე არსებულ სტატუს კვოზე უმნიშვნელო ცვლილებით, რაც ასე თუ ისე შეთანხმეული იყო მხარეების მიერ. 1967 წელს, ოთხდღიანი ომის შედეგად, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილის დაკავების შემდეგ ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 500 ათასი ებრაელი დასახლდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი აღნიშნულ დასახლებებს უკანონოდ მიიჩნევს, ისრაელი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

ახალი გეგმის თანახმად, იმ რაიონებში მცხოვრებთ, რომლებიც ევაკუაციის გეგმას ექვემდებარებიან, ორი არჩევანი ექნებათ: ან მიიღონ ფინანსური კომპენსაცია გამოსახლების სანაცვლოდ ან დარჩნენ თავიანთ სახლებში გამოსაცდელი 5 წლის ვადით, თანაც პალესტინის მხარის კონტროლქვეშ.

ისრაელის შეთავაზება მაინც გააპროტესტა პალესტინურმა მხარემ. მაჰმუდ აბასის განცხადებით, ზემოაღნიშნული პირობის გათვალისწინებით მაინც შეუძლებელი იქნება პალესტინური სახელმწიფოს შექმნა. მისი თქმით, ებრაული დასახლებები იზოლაციაში არ არის მოქცეული. ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან, თანაც პალესტინურ მიწაზე, რაც პალესტინას გეოგრაფიულ მთლიანობას ურღვევს.

საინტერესოა ანალიტიკოსთა მიდგომა თავად ისრაელში ახლად გახმოვანებული იდეის შესახებ. ანალიტიკოსთა ნაწილის აზრით, ეჰუდ ბარაკი ამ ინიციატივით თავის "შრომის პარტიასა" და "პარტია ლიკუდს" შორის განსხვავების ხაზგასმას ცდილობს. როგორც ცნობილია, "ლიკუდს" პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ხელმძღვანელობს.

ბევრ ანალიტიკოსს ღაზას სექტორიდან ებრაელი მოსახლეობის გამოყვანა შეცდომად მიაჩნია და თავიანთ მოსაზრებას იმ არგუმენტით ამყარებენ, რომ ძალაუფლება მოძრაობა "ჰამასის" წარმომადგენლებს აქვთ ხელში ჩაგდებული, რომლებიც პალესტინელებს ისრაელის განადგურებისკენ მოუწოდებენ. თუმცა გარკვეული ცვლილებებია თავად "ჰამასის" ხელმძღვანელობაშიც, მეთაურის პოსტს ტოვებს ხალედ მაშაალი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ლიდერის ფუნქციას. მისი ოფიციალური განცხადების თანახმად, ხელმძღვანელის ფუნქციებს მანამდე შეითავსებს, ვიდრე ორგანიზაციის ახალი ლიდერის ვინაობა არ გახდება ცნობილი. ეს კი, სავარაუდოდ, 2012 წლის მიწურულს მოხდება. ჯერჯერობით აქტიურად ორი კანდიდატურა განიხილება - ღაზას სექტორში "ჰამასის" ადმინისტრაციის მოქმედი ხელმძღვანელი ისმაილ ჰანია და მაშაალის მოადგილე მუსა აბუ მარზუქი. "ჰამასის" ახალ ხელმძღვანელს წლის ბოლოს შურას საბჭო ფარული კენჭისყრით აირჩევს.

მანამდე კი, ვიდრე პალესტინელები "ჰამასის" ახალ ლიდერზე შეთანხმდებიან, ისრაელის ხელისუფლება პირობას დებს, გასცეს სამუშაო უფლება ისრაელში იმ 5 ათასი პალესტინელისთვის, რომლებიც დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ. აქვე გასათვალისწინებელია ისრაელის შიში იმის თაობაზეც, რომ პალესტინის ავტონომია ვერ აღმოჩნდება საკმარისად ქმედითუნარიანი, რადგან მისმა დავალიანებამ მილიარდ 500 მილიონ დოლარს მიაღწია, საბიუჯეტო დეფიციტი 500 მილიონ დოლარს შეადგენს, თანაც ეს იმ დროს, როცა საზღვარგარეთიდან წამოსული ფინანსური დახმარება სულ უფრო მცირდება.

ბიზნესი

139,9 მილიარდი ევროს ესპანური აქტივების ღირებულება დაეცა

თინა შავაძე

ევროპამ, როგორც ჩანს, ფინანსურ ბაზრებზე ესპანეთისა და ევროს მიმართ ნდობის აღდგენა შეძლო, მაგრამ გერმანიაში შეშფოთების კიდევ ერთი მიზეზი გამოვლინდა - ეს არის გერმანული ბანკების მდგომარეობა, - წერს The Wall Street Journal.

გერმანულმა ბანკებმა ყველაზე მეტი ინვესტიცია -1 39,9 მილიარდი ევრო (აქედან 45,9 მლრდ ევრო ბანკებში) ესპანეთში განათავსეს.

ევროპელი ლიდერები შეთანხმდნენ, ესპანეთს 100 მილიარდი ევროს ტრანში გამოუყონ, რათა ქვეყნის პრობლემურ ბანკებს დაეხმარონ. სიტუაცია მეტ-ნაკლებად ნათელი გახდება პარასკევს, მაშინ როცა ესპანეთი თავისი ბანკების შეფასების სტრეს-ტესტებს წარმოადგენს.

გერმანული ბანკები აქტიურად ცდილობენ, ესპანური აქტივები თავიდან მოიშორონ, თუმცა მთლიანად პრობლემის მოგვარება ვერ შეძლეს: მათ ფარტომასშტაბიანი ინვესტირება მოახდინეს ესპანურ ბანკებში, უძრავ ქონებაში და სხვა ბიზნესში, რომლებიც კრიზისის გამო უკვე დაზარალდნენ.

სულ უფრო და უფრო მყარდება ვარაუდი იმის შესახებ, რომ კრიზისი ესპანური აქტივების ღირებულებას დარტყმას მიაყენებს. ამ ფაქტმა უკვე იძულებული გახადა სარეიტინგო სააგენტო Moody's-ი, გერმანიის საკრედიტო რეიტინგის "სტაბილური" პროგნოზი "ნეგატიურით" შეეცვალა.

როგორც სააგენტო განმარტავს, რომ გერმანიის საბანკო სისტემა არამყარი გახდა ესპანეთში არსებული დანაკარგების გამო.

სად აბანდებენ კაპიტალს რუსი მილიონერები

თინა შავაძე

რუსი ბიზნესმენები იმდენად უკმაყოფილნო არიან რუსეთში არსებული ბიზნესგარემოთი, რომ მათ არ სურთ, საკუთარ ქვეყნაში ბიზნესი გააფართოვონ და არ აპირებენ, საკუთარი ქონება მემკვიდრეობით შვილებს გადასცენ. ბიზნესმენებს ურჩევნიათ, მიღებული მოგება ევროპის ქვეყნებში დააბანდონ.

ბანკ UBS-სა და კომპანია Campden Wealth Campden-ის ერთობლივი კვლევა მიეძღვნა რუსეთის ბიზნესელიტის ქცევებს. ამ ადამიანებს მთელ მსოფლიოში ოლიგარქებად მიიჩნევენ, რომლებმაც რუსეთის სიმდიდრის ექსპლუატაცია ქვეყნის მთავრობასთან მჭიდრო კავშირებით მოახდინეს. თუმცა, კვლევაში არ მოხვდა ეს ვიწრო ფენა. მკვლევარების ფოკუსი გაკეთდა იმ ახალი კლასის მეწარმეთა გადაწყვეტილებებზე, რომელიც დასავლეთის ბიზნესელიტას ჰგავს და ქონება საკუთარი შრომით დააგროვა.

UBS-მა და Capmden-მა 22 ბიზნესმენი, რომლებიც რუსეთში საქმიანობენ, ანონიმურად გამოკითხა. მათი უმეტესობა 50 მილიონი დოლარის ქონებას ფლობს და ყოველწლიური ბრუნვა 50 მილიონიდან მილიარდ დოლარს აღწევს.

ბიზნესმენები წარმოდგენილნი არიან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან - ბანკებიდან და ფინანსური სექტორიდან დაწყებული, უძრავი ქონებით დამთავრებული.

ბიზნესმენებს არ მოსწონთ რუსეთის ბიზნესკლიმატი და ისინი ამ ქვეყნაში წარმოების გაფართოებას არ აპირებენ.

გამოკითხული მილიონერების 95 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ბიზნესგარემო ხელს არ უწყობს ინოვაციების დანერგვასა და სამეწარმეო კულტურის განვითარებას. თუმცა, ამაში დანარჩენ 5 პროცენტს ეჭვი ეპარება. არსებულ საინვესტიციო გარემოს დადებითი შეფასება არც ერთმა არ მისცა.

ჯერ კიდევ გასულ წელს, რუსეთის საინვესტიციო გარემოს უარყოფითად აფასებდა გამოკითხულთა მხოლოდ 58 პროცენტი.

ქართული ღვინის გამოფენის წლევანდელი ტენდენციები

პირველი გვერდიდან

თუკი ქართველი ადამიანი საკუთარი ეროვნების იდენტიფიცირებას ვაზთან და ღვინოსთან ახდენს, დაუჯერებელია, რომ საქართველოში არ ტარდება ღვინის საერთაშორისო გამოფენები და კონკურსები, რომელიც, ევროპულისდა დარად, პრესტიჟული იქნებოდა.

ჯერჯერობით, ქართული ღვინო ცნობადობის გაზრდას შიდა ბაზარზე საჭიროებს და ყოველწიური გამოფენები, კონკურსები და ფესტივალები სწორედ ამას ემსახურება.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-5 საერთაშორისო გამოფენის - **WinExpo Georgia 12-ის** ორგანიზატორები გამოფენების ცენტრი "ექსპო ჯორჯია" და თბილისის მერია იყვნენ. იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფის "ემ ჯგუფის", ასოციაცია "ქართული ღვინოსა" და ღვინის კლუბის მხარდაჭერით გაიმართა.

პავილიონში წარმოდგენილი იყო 70-მდე სხვადასხვა ორგანიზაცია სასმელებითა და სხვა პროდუქტებით. დამთვარიელებელს შეეძლო ღვინოების გვერდით ასევე ეხილა შუშხუნა ღვინოები, სპირტიანი სასმელები, საწარმოო დანადგარები, შესაფუთი ტექნოლოგიები, ინგრედიენტები, დანამატები, სასუქები, ვაზისა და ვენახის მოვლის ტექნიკა, ნერგები, აქსესუარები და სხვა.

ფესტივალი განსაკუთრებით საინტერესო იყო იმით, რომ საქართველოში ცნობილი ღვინის მწარმოებლების გვერდით წარმოდგენილი იყო მცირე და ოჯახური მარნები, თავისი განუმეორებელი ინდივიდუალიზმითა და თვითმყოფადობით. ღვინის ფესტივალს საინტერესო ელფერს აძლევდა ყველისა და ღვინის შეხამება, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ყველი, საქართველოს შვიდი რეგიონიდან. "ყველი და ღვინო მსოფლიოში მიღებული ტანდემია, რომელთა შეხამებაზეც უცხოეთში სპეციალისტები მუშაობენ. კარგია, ჩვენმა სომელიებმაც იცოდნენ, ბიოლოგიის დონეზე, რომელი ღვინოს ყველის რომელი სახეობა შეეფერება. გამოფენაზე შევეცადეთ შეგვეხამებინა ერთი და იმავე კუთხის ყველი და ღვინო. მომავალში ამ მიზნით სემინარებსაც ვგეგმავთ. წელს სემინარის თემა ღვინისა და კერძების დაგემოვნების ხელოვნებას მიეძღვნა" - გვითხრა პროექტის მენეჯერმა ნინო გამრეკელმა.

ფესტივალის სტუმრებს შორის იყვნენ ექსპერტები, სომელიები, ღვინის ჟურნალისტები და დისტრიბუტორები იტალიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, მოლდოვადან, უკრაინიდან, ბალტიისპერითის ქვეყნებიან, ჩინეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

WINEXPO GEORGIA 12-ის ფარგლებში ჩატარდა ღვინის მე-4 საერთაშორისო კონკურსი. ღვინის ნიმუშები შეაფასეს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფმა

ენოლოგების, ცნობილი ღვინის ჟურნალისტებისა და სპეციალისტების შემადგენლობით. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: ფელისიტი კარტერი (ღვინის სპეციალისტი და ჟურნალისტი, ჟურნალ "Wine Business International"-ის მთავარი რედაქტორი, ავსტრალია), ვალტერ ებერენცი (ღვინის სპეციალისტი და ჟურნალისტი, გერმანია), მარტინ მარიანი (მეღვინე, ღვინის ჟურნალისტი და ჩეხეთის სომელიეთა ასოციაციის წევრი, ჩეხეთი), ლევან მეხუზლა (ღვინის სპეციალისტი, საქართველოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), გიორგი სამანიშვილი (ღვინის სპეციალისტი). შემფასებელთა ჯგუფს თავმჯდომარეობას გაუწევს ენოლოგი დოქტორი გეორგ ბინდერი.

დეგუსტაციაში მონაწილეობას ღებულობდა 22 კომპანია და წარდგენილი იყო 63 ღვინო შემდეგ კატეგორიებში: თეთრი მშრალი, წითელი მშრალი, თეთრი ქვევრის, წითელი ქვევრის, წითელი ნახევრად ტკბილი ღვინოები. სულ გაიცა 1 დიდი ოქროს მედალი, 15 ოქროს მედალი და 16 ვერცხლის მედალი. აღშინიშნავია, რომ ამ რაოდენობით ჯილდოები კონკურსის ჩატარების ისტორიაში არ გადაცემულა. დიდი ოქროს მედალი კი ბოლო წლებია არ მიუღია არც ერთ კომპანის. წელს ეს ჯილდო დაიმსახურა "მეღვინეობა ხარებამ" ღვინით "საფერავი პრემიუმი" 2011 წლის.

გამარჯვებულ კომპანიებს შორის არიან: "თბილვინო", ალავერდის მონასტრის ღვინო, "Schuchmann Wines Georgia"; "Chateau Mukhrani"; "მეღვინეობა ხარება", "Eristavi Winery"; "ხოხბის ცრემლები", "GWS"; "WineMan"; "შუმი"; "ბესინი"; "Kakhetian Tradiitional Winemaking"; "უსახელაურის ვენახები".

ნინო გამრეკელი: "ღვინის ქვეყანაში ნამდვილად უნდა ტარდებოდეს სპეციალიზირებული ღონისძიებები, რომელიც იქნება პლატფორმა ბიზნესმენებისა და მოყვარულებისათვის. ამ წლების მანძილზე ჩატარებულმა გამოფენებმა შედეგები უკვე გვიჩვენა, თუნდაც იმით, რომ ბოთლის ღვინომ დაიბრუნა დაკარგული ნდობა და პრესტიჟი. წლების მანძილზე მომხმარებელი უპირატესობას ჩამოსასხმელ ღვინოს ანიჭებდა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი გასინჯვა შეეძლო. ბოლო წლებში ეს სტერეოტიპი იმსხვრევა, თუნდაც იმით, რომ დისტიბუტორებსა და ღვინის მოყვარეულებს გამოფენებზე ბოთლის ღვინოების დაგემოვნება შეუძლიათ. ამასთან, როგორც ყველაფერი ბუნებაში, ერთი და იგივე ჩამოსხმის ღვინოც ყოველწლიურად იცვლება, ვინაიდან იგი ერთ-ერთი ცოცხალი პროდუქტია აქედან გამომდინარე საუბრობენ ღვინის მოყვარულები და სპეციალისტები სხვადასხვა წლის მოსავლის საგემოვნო თვისებებზე".

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენის ხუთწლიანი გამოცდილებით, ნინო გამრეკელი აღნიშნავს, რომ მონაწილეთა შორის სულ უფრო გაიზარდა პატარა მარნების რიცხვი, რომელთა სახლიც, რეკლამის უქონლობის გამო ნაკლებად არის ცნობილი, თუმცა კი, ისინი ხარისხიან და ძვირადღირებულ ღვინოს აწარმოებენ. უცხოელებმა, შეიძლება ითქვას, ბოლოს დროს გემო გაუგეს ქვევრის ღვინოსაც და ასევე ინტერესდებიან ბიოლოგიური ღვინით, რომელსაც პატარა მარნები ამზადებენ. ამგვარ ქართულ ღვინოზე მოთხოვნა, განსაკუთრებით, იტალიასა და ამერიკაში ყოფილა. სტატისტიკის მიხედვით, ამ ხუთი წლის მანძილზე, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენაზე უცხოელი სტუმრების რიცხვი სამჯერ გიაზარდა. წლევანდელი გამოფენის შედეგია ისიც, რომ ბევრმა მარანმა შეკვეთები მიიღეს უცხოელი დისტრიბუტორებისაგან. გამოფენის სისტემურობის შედეგია ისიც, რომ სტუმართა შორის იყვნენ ისინი, ვინც ორი წლით ადრე დაგეგმა საქართელოში წამოსვლა, მათთვის ქართული ღვინის გამოფენა ექსპრომტად მოფიქრებული ფესტივალი აღარ არის. ეს კი, სამომავლოდ, ამ გამოფენის პრესტიჟულობის გარანტი გახდება.

ძალადობისა და ძალაუფლების ანატომია თეატრში

პირველი გვერდიდან

შოკი გამოიწვია ძალადობის სცენების ხილვამ და ამ ვიზუალურ ინფორმაციასთან გამკლავება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

გამკლავება არა, მაგრამ ამ ეტაპისთვის ფესტივალის ყველაზე საინტერესო წარმოდგენამ ადეკვატურობა ნამდვილად გაბედა. საინტერესო კი ბევრი მიზეზის გამო იყო. დრამატურგიული საფუძველი, მხატვრული ფორმა, მსახიობების თამაშის მანერა, რეჟისორისა და სივრცის ურთიერთობა - შესაძლოა, საქმე არ გვქონია წარმოდგენა-მოვლენასთან თანამედროვე თეატრში. მაგრამ აღნიშნული და კიდევ ჩემს მიერ გამოტოვებული ფაქტორები, ნამდვილად განასხვავებდა მაია კლიჩევსკას თეატრს თანამედროვე ქართული თეატრისგან. ეს არგუმენტი კი ჩვენს რეალობაში საკმაირისია იმისთვის რომ წარმოდგენას საინტერესო ვუწოდოთ. საინტერესო ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით და არა მხოლოდ.

ცხადია, არა მხოლოდ, "ღმერთების დაცემა" დრამატული თეატრის ენაზე ალაპარაკებულ ოპერას ჰგავს, რაც ლუკინო ვისკონტის კინოსცენარის მიხედვით დადგმულ დრამას მატებს პომპეზურობასა და ექსპრესიას. ძალადობა, რომელიც ერთ მმართველ ოჯახში საოცარ მასშტაბს იძენს, რეჟისორმა სივრცის განაწილებითა და მხატვრული სიხისტით გარკვეულ პედესტალზე დააყენა. ამიტომაც მაყურებელმა, პირველი ნაწილის შემდეგ, ალბათ მშვენივრად გაიაზრა, რა აზრი განავითარა ცნობილმა პოლონელმა რეჟისორმა - ძალადობა, რომელსაც საზოგადოებრივი ელიტა ახდენს და რომელიც ძალაუფლებასთან არის წილნაყარი გარყვნილებაა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ კინემატოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფილმში ლუკინო ვისკონტიმ გვიამბო ფონ ესენბეკების დიადი ოჯახის დაღუპვის ისტორია ნაცისტური გერმანიის აღორძინების პერიოდში. "მაია კლეჩევსკასთვის ამ ტექსტს უდიდესი მნიშვენლობა აქვს და საშუალებას გვაძლევს დავსვათ შეკითხვები ფუნდამენტურ საკითხებზე - კაცობრიობა, ძალაუფლება, ოჯახი და ის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ასეთი საშინელება ხდება. მოქმედება ჩვენს დროში ვითარდება. პიესაში ესენბეკები მხარს უჭერენ არა ნაციზმს, არამედ პოლიტიკურ პარტიას. მათი ერთადერთი მიზანი ძალაუფლება, ფული, პირადი სარგებელი და სხვა პრაგმატულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა. რეჟისორი დეტალურად გვიჩვენებს მიზეზებს, რამაც განაპირობა მათი ქმედებები: ღრმად გამჯდარი ნარცისიზმი, რომელიც შენიღბულია პიროვნების სრულყოფის უმანკო სურვილით, დიდ საფრთხეს გვიქმნის დღესაც. იგი შეგვახსენებს, რაოდენ საშიშია, როდესაც ოჯახი, სოციუმი და მთლიანი საზოგადოება ემორჩილება ერთგვარ ჯგუფურ ჰიპნოზურ ილუზიას. სამყაროს ასეთი სახე ბევრად რადიკალური და დაუნდობელია ვისკონტის ფილმში. ამ შეხედულების მიხედვით, ნებიემიერ ადამიანს შეუძლია მოკლას, გააუპატიუროს, დაასახიჩროს სხვა და ჩვეულებრივ გააგრძელოს ცხოვრება. დანაშაულისათვის სასჯელი აღარ არსებობს. ტრაგედიის კლასიკური კონცეფციები გაუფასურდა. აქ ღმერთის ხსენებას აზრი არა აქვს. ის უკვე აღარ არის ამ სამყაროსთვის მნიშვნელოვანი. მაშ, რა არის მნიშვნელოვანი?" - წერია საფესტივალო რევიუში, თუმცა შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ მნშვნელოვანზე ბაასი დადგმაში არ ჩანს და არც ეგზისტენციალურ კითხვებს ეხებიან. არჩევანი თავიდანვე გაკეთებულია. უპირობო ბრძოლა ძალაუფლებისთვის. სწორედ თავდაპირველი და ცხადი არჩევანი პერსონაჟებისა ოდნავ მოსაწყენს, ანდა მომაბეზრებლად ძალადობრივ აქტად აქცევს კლიჩევსკას ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს. რომელიც ისეთივე ორომტრიალითა და უმიზნო მოძრაობით სრულდება, როგორითაც დაიწყო.

"... ყველა ვერ შეძლებს იცხოვროს ისეთ სამყაროში, სადაც საგნები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე გრძნობები, სიმდიდრე ბატონობს სინდისსა და გონიერებაზე, ხოლო საკუთარი იმიჯი აღემატება ღირსებას...

... სამყარო სწორ გზაზე რომ დადგეს, საჭიროა, დანაშაულს მოჰყვეს სასჯელი, უზნეობას სინანული, კანონდარღვევას სირცხვილი. ესენბეკების სამყაროში არ არსებობს არც სასჯელი, არც სინანული და არც სირცხვილი, თითქოს ძველი წყობილების მოშლასთან ერთად გაქრა ეს ყველაფერი ანდა ოჯახის თითოეული წევრის დადგენილ კანონებს შეეწირა. ღირებულებები ჩაანაცვლა ფულმა და ძალაუფლებამ. სწორედ ამაზე გვიამბობს მაია კლეცზევსკას წარმოდგენა. მან ლუკინო ვისკონტის სცენარის სიუჟეტი გამოიყენა და გვაჩვენა უფუნქციო ოჯახი, რომელიც დღესაც ძალზედ მოდური და არცთუ ისე უცხოა თანამედროვე საზოგადოებისათვის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. იგი უბრუნდება ნაციზმს, რომ უფრო ნათლად დაგვანახოს დღევანდელობა. ალბათ გაზვიადებულია, მაგრამ იქნებ შევძლოთ გავაფრთხილოთ მაყურებელი და ვაიძულოთ დაფიქრდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თეატრი აქტიურად ეხმიანება სოციალურ საკითხებს, ასეთი ძლიერი მორალური გზავნილის მქონე პიესა ძალიან ცოტაა." - ვკითხულობE პოლონელი რეჟისორის აღნიშნული დადგმის შესახებ ერთ-ერთ რეცენზიაში და ბუნებრივია, რომ ოჯახს, როგორც საზოგადოების მოდელს ისე განვიხილავთ როგორც ჩვენ, ისე წარმოდგენის ავტორი.

მაია კლიჩევსკა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლონელი რეჟისორია. თბილისში მისი წარმოდგენა ექსპრესიული და ნატურალისტურად ძალადობრივი სცენების გამო ბევრმა დატოვა. სიმძაფრე და სათქმელის ფორტეზე წარმოთქმა მისი სტილია. მის წარმოდგენებს დროზე ადრე ემშვიდობებიან პოლონეთშიც. თუმცა ძალიან, ძალიან დიდხანს მიaყვებათ საფიქრალი...

26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ - ᲔᲜᲐᲗᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ

2001 წლის დეკემბერში ბრიუსელში საზეიმოდ დაიხურა ენათა ევროპული წელიწადი, სადაც გადაწყდა, რომ 26 სექტემბერი გამოცხადებულ იყო ენათა ევროპულ დღედ. უკვე 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს დღე ევროპის საბჭოს ეგიდით ყოველწლიურად აღინიშნება. გარდა იმისა, რომ ენათა ევროპული დღე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება, წელს საიუბილეო თარიღს ფართო მასშტაბით ავსტრიის ქალაქ გრაცის თანამედროვე ენების ცენტრი მასპინძლობს.

ენათა ევროპული დღის სლოგანია *ვისწავლოთ ენები მთელი ცხოვრების მანძილზე.*

ენათა ევროპული დღის მიზანია, საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ენების შესწავლის აუცილებლობას; გააფართოოს წარმოდგენა ევროპაში გავრცელებულ ენებზე; წაახალისოს მთელი სიცოცხლის მანძილზე ენების შესწავლის იდეა. ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მრავალენოვნების ხელშეწყობის მიზნით 1999 წელს იუნესკომ 21 თებერვალი *მშობლიური ენის საერთაშორისო დღედ* გამოაცხადა, ხოლო საქართველოში 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების შემდეგ ქართველმა ხალხმა თვითონ დააწესა *ქართული ენის დღე.*

ადამიანის ენობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: დედაენა (ხდება მისი განვითარება), მეორე ენა (ხდება მასში ჩაფლობა), უცხო ენა (ხდება მისი შესწავლა). ბავშვი დაბადებიდანვე ხვდება სამეტყველო გარემოში და ხდება ენობრივი სოციუმის პასიური წევრი, რომელიც მოგვიანებით ერთვება სამეტყველო ქმედებაში. იგი ძალიან მალე შეიგრძნობს და აცნობიერებს დედაენის სტრუქტურას - მან შეიძლება არ იცოდეს ყველა სიტყვის მნიშვნელობა ან გრამატიკული ფორმა, მაგრამ მთლიანად ენა გასაგები იყოს მისთვის. ასე რომ, დედაენის (ანუ პირველი ენის) ათვისების პროცესი არასისტემური და გაუცნობიერებელია. რაც შეეხება მეორე ენას ("მეორე ენა" არის სამუშაო ტერმინი და ძირითადად გამოიყენება სპეციალისტების მიერ ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენობრივი განათლების საკითხებზე მუშაობის პროცესში), იგი უმთავრესად სახელმწიფო ენაა და მშობლიური ენის შემდეგ ის არის მეორე ენა ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობებისათვის. მეორე ენის სწავლებას, ჩვეულებრივ, სახელმწიფო უზრუნველყოფს.

უცხო ენას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში დასახლებული საზოგადოება უმეტეს შემთხვევაში არ იყენებს კომუნიკაციისათვის. თანამედროვე ადამიანი პირადი საჭიროებიდან გამომდინარე სწავლობს არაერთ უცხო ენას და თანდათან იძენს ენობრივ უნარ-ჩვევებს, კულტურათშორისი ურთიერთობის გამოცდილებას და ყალიბდება მრავალენოვან და მულტიკულტურულ პიროვნებად. ისეთი დიდი საერთაშორისო ინსტიტუციები, როგორებიცაა ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ხელს უწყობენ, ერთი მხრივ, უცხო ენების შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ, მშობლიური ენების განვითარებას.

ქართული ენის სწავლებას სამი მიმართულება აქვს - ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლება; ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება; ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება. ამჯერად, ენათა ევროპულ დღეს, როდესაც ყურადღება მიპყრობილია უცხო ენების შესწავლაზე, გვინდა წარმოვადგინოთ ერთი ახალბედა სასწავლო მიმართულება - ქართული, როგორც უცხო ენა.

ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, ცხადია, უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას, ვინაიდან ის არის ქვეყნის შიგნით საურთიერთო ოფიციალური, ანუ შიდა მიმოქცევის ენა, ხოლო იმისათვის, რომ ამა თუ იმ ენას არ ჰქონდეს მხოლოდ ქვეყნის შიდა მოხმარების ფუნქცია და ჩართული იყოს მსოფლიოს ხალხთა ერთიანი ენობრივი მიმოქცევის კონტექსტში, აუცილებელია ენების სტანდარტული აღწერილობების შემუშავება ენათა ზოგადევროპული მოდელის შესაბამისად, რომელსაც დაეფუძნება კონკრეტული ენის, როგორც უცხო ენის სწავლა-სწავლება და შეფასება. ენის ყველასათვის გასაგები კრიტერიუმებით, სტანდარტულად აღწერის შემდეგ, მარტივდება მისი შესწავლა, სწავლება, შეფასება, კვლევა და, შესაბამისად, იგი ხდება საერთაშორისო ენათა ერთობის წევრი, მსოფლიო მიმოქცევაში მყოფი ერთ-ერთი ენა, რაც მის საერთაშორისო დონეზე არსებობას განაპირობებს.



ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტიზაციის აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქართული სახელმწიფო ინტენსიურად ჩაერთო საერთაშორისო პროცესებში და, შესაბამისად, შეიქმნა ქართული ენის განხილვის საჭიროება ორი საურთიერთო კონტექსტით: ქართული - საქართველოს სახელმწიფო ენა, ანუ შიდა მიმოქცევის ენა და ქართული - მსოფლიო მიმოქცევაში მყოფი ერთ-ერთი ენა, ანუ ლეგიტიმირებული ენა. ამდენად, ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტის შექმნას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ის ნამდვილად არის დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენა, განსაკუთრებით ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით.

ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველომ რამდენიმე ათეული წლის შრომის შედეგად შეიმუშავა ევროპული ენობრივი პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტი - *ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება.* თავისი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, იგი არ ითვალისწინებს ცალკეული ენების სპეციფიკას. *კომპეტენციები* აღწერითი ხასიათისაა და არ წარმოადგენს წესების დამდგენ ან ნორმატივების განმსაზღვრელ ინსტრუმენტს. ამიტომ იგი ცალკეული ენებისა და კულტურების თავისებურებათა გათვალისწინების, ენობრივი და სოციოკულტურული განსხვავებების შესაბამისად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული და მისადაგებული სხვადასხვა ენასთან. ეს დოკუმენტი ქართულად ითარგმნა და საფუძვლად დაედო ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტს.

ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტული აღწერილობა ჩვენში პირველად შეიქმნა. იგი ხასიათდება შინაარსობრივი, მეთოდიკური და ტექნოლოგიური სიახლით. ქართული ენა ჩვენი ენათმეცნიერების კორიფეების მიერ აღწერილია სამეცნიერო გრამატიკებში, მაგრამ ეს აღწერილობები უცხოელისთვის ვერ გამოდგება, რადგან ისინი არაა ორიენტირებული ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელზე. უცხოელისთვის მნიშვნელოვანია, მაგალითად, მოქმედი პირის გამოხატვა და არა მოთხრობითი ბრუნვა. სტანდარტის შემქმნელების წინაშე დადგა სერიოზული ამოცანა, რომ ენის "შიგთავსი" აღეწერათ არა სამეცნიერო, არამედ სასწავლო მიზნით, ე.ი. ფუნქციურად. ამიტომ საჭირო გახდა ანბანიდან დაწყებული რთული ტექსტით დამთავრებული ყველაფრის გადააზრება ადრესატის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. მეორე სიახლე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახლავთ მეთოდიკური. როცა სისტემურ გრამატიკაში ვალაგებთ გრამატიკულ კატეგორიებს, იქ შემსწავლელის თანდაყოლილ ცოდნასაც ვითვალისწინებთ, ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელს კი ამგვარი ცოდნა არ აქვს და ამდენად, ამ პროგრამამ შინაარსობრივი ყალიბის შეცვლასთან ერთად, მეთოდურის შეცვლაც მოითხოვა. შესაბამისად, იმის განსაზღვრაც მოგვიხდა, თუ როგორ, რა მიდგომებითა და თანამიმდევრობით უნდა ვასწავლოთ ჩვენი ენის უნიკალური შინაარსი (მაგალითად, ჯერ ვასწავლოთ აღწერა, მარტივი სრული წინადადებები: ის არის გიორგი, ეს არის წიგნი, მერე - მარტივი უსრული, ან უშემასმენელო წინადადებები შემოვიტანოთ: ეს არის ნინო, ის - ნანა, ეს კი კატო და ა.შ.). ე.ი. ამ შემთხვევაში მეთოდური სიახლე შინაარსობრივ ინოვაციაზეა მიბმული. ასე რომ, ენის ფლობის ზოგადევროპული დონეების მიხედვით პირველად ახლა გაიწერა ეს შინაარსი და, შესაბამისად, ამ ინოვაციურ პროდუქტს ახალი მეთოდიკის შემუშავება დასჭირდა.

და ბოლოს, ეს არის ტექნოლოგიური სიახლე. საქართველოს ენობრივი განათლების სისტემაში სტანდარტი პირველადაა წარმოდგენილი კომპიუტერული პროგრამის სახით. ელექტრონული სტრუქტურის მოფიქრება, ქართულზე მორგება, ესეც ახალია და, ცხადია, არც ეს იყო მარტივი. სტანდარტის მობილური პროგრამა საშუალებას იძლევა, რომ დიდი ენობრივი და სოციოკულტურული ინფორმაცია, რომელსაც იგი შეიცავს, ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და მარტივად მოხდეს გადასვლა ერთი ინფორმაციიდან სხვა დანარჩენებზე. ამასთანავე, ელექტრონული პროგრამა ამარტივებს მისი ფუნქციონირების შემოწმებას, კორექტირებას, სრულყოფას.

სტანდარტში განთავსებული მასალა სპეციალურად დამუშავდა ამ პროგრამისთვის. მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ლექსიკონი, რომლისთვისაც დიდი სიფრთხილით შეირჩა და დონეების მიხედვით გადანაწილდა 5000 სალექსიკონო ერთეული შესაბამისი განმარტებით. პოლისემიურობის გათვალისწინებით თითოეულ მნიშვნელობასთან მოცემულია სინონიმები, ანტონიმები, კომპოზიტები, სიტყვაწარმოების ნიმუშები, იდიომები და ანდაზები (იდიომები და ანდაზები განმარტებულია). ყოველ სალექსიკონო ერთეულს აქვს გრამატიკული დახასიათება, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსს, ხოლო სიტყვის განმარტება, იდიომები და ანდაზები ილუსტრირებულია მაგალითებით. ლექსიკური ერთეულები გახმოვანებულია და ახლავს ინგლისური თარგმანი.

შარშან, ევროპის საბჭოს განათლების კომიტეტის სხდომაზე შედგა ზემოხსენებული სტანდარტის პრეზენტაცია. ენობრივი განათლების ექსპერტებმა მას ძალიან მაღალი შეფასება მისცეს და ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა, მისი ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული შერწყმის გამო, ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების ენებისათვის შექმნილი მოდელების ტოლფასად მიიჩნიეს. ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველომ თავისი დამოკიდებულება ამ პროგრამის მიმართ გამოხატა წერილში, რომელიც შესავლის სახით აქვს დართული ამ სტანდარტს.

ამ დიდი კორპუსის - *ქართული ენის ფლობის დონეების* (A1-A2, B1-B2)*აღწერილობის* - შექმნა ზოგადევროპული ჩარჩოს ფარგლებში იმ კრიტერიუმებით, რომლითაც საერთაშორისო კონტექსტი ფუნქციონირებს, ნიშნავს, რომ მსოფლიოს ენათა საურთიერთო ველი, რომელშიც თითოეული ენა შედის სტანდარტიზებული ანუ ყველასათვის გასაგები სახით, მას აღიარებს, როგორც სრულფასოვან წევრს და ამ პროგრამის განხორციელება სწორედ ამ ისტორიულ მომენტს ქმნის. იგი ხელს შეუწყობს ქართულის, როგორც უცხო ენის, დამოუკიდებელ სასწავლო მიმართულებად ჩამოყალიბებას და საფუძვლად დაედება მის შემდგომ განვითარებას. სახელდობრ, წლევანდელი წლის ბოლოსთვის დასრულდება მუშაობა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოზე, ხოლო 2013 წლიდან დაიწყება ქართულის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელოების შედგენა ზოგადევროპული ენობრივი დონეების შესაბამისად; ამასთანავე, მომზადდება სხვადასხვა ხანგრძლივობის პროგრამები, ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტები. საგანმანათლებლო ლინგვისტიკის ახალბედა დარგი - ქართული, როგორც უცხო ენა (ქუე) - უფრო მეტ ინტერესს აღძრავს უცხოელ შემსწავლელებს შორის, მეტ პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ ენას და დააყენებს იმ პრივილეგირებულ ენათა შორის, რომელთათვისაც ეს დისციპლინა უკვე კარგა ხანია წარმატებით ფუნქციონირებს.

მარიკა ოძელი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს უფროსი,
ენობრივი პოლიტიკის ეროვნული წარმომადგენელი ევროპის საბჭოში

უემბლი და ევრო 2020

ვასილ უდუმაშვილი

ინგლისის საფეხბურო ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ 2020 წელს პოტენციური საფეხბურთო "ფინალური კვირა" ლონდონში გაიმართოს.

დევიდ ბერნშტეინის თქმით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ყველა ღონეს იხმარს, რათა თუ მიშელ პლატინის იდეას 2020 წელს ევროპაში ერთობლივი კონტინენტის პირველობის გამართვის თაობაზე ხორცი შეესხა, ნახევარფინალებსა და ფინალს "უემბლიმ" უმასპინძლოს.

შეგახსენებთ, 2020 წლის ევროპის პირველობის მასპინძლობაზე არაერთი ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის ერთობლივი განაცხადი აქვს შეტანილი საქართველო-აზერბაიჯანსაც. უეფამ 2012 წლის ბოლოს ან 2013 წლის დასაწყისში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა, როგორც ჩანს, ამ დაპირისპირებას ერთი კონკრეტული გამარჯვებული არ ეყოლება. ამას წინათ პლატინიმ განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ ევროპის ჩემპიონატი გაიმართება არა ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, არამედ რამდენიმე ქვეყანაში ერთად. თითო ჯგუფს თითო ქვეყანა უმასპინძლებს, მერვედფინალები და მეოთხედფინალები ასევე სხვადასხვა ქვეყანაში უნდა გაიმართოს. ბოლოს კი ნახევარფინალები და ფინალები, წესით, ერთ სტადიონზე, ერთი კვირის განმავლობაში, ეგრეთ წოდებულ "ფინალურ კვირეულში" შედეგბა. სწორედ ამ "ფინალური კვირეულის" მასპინძლობა სურთ ინგლისელებს.

"უემბლი" ასეთი ღონისძიებისთვის იდეალური ადგილია. უეფას სურს ნახევარფინალებისა და ფინალის, სულ მცირე, ერთ ქალაქში გამართვა. მეტიც, შესაძლოა, ამ სამი თამაშისთვის ერთი სტადიონიც კი შეირჩეს. ასეთ შემთხვევაში "უემბლი" იდეალური არჩევანი იქნებოდა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ყველა ღონეს იხმარს, რათა არჩევანი სწორედ "უემბლიზე" შეჩერდეს," - აცხადებს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი დევიდ ბერნშტეინი.

ბერნსტეინი იმ შემთხვევასაც განიხილავს, თუ უეფამ ერთობლივი ტურნირის ჩატარებაზე უარი თქვა. "ვინ არის ევრო 2020-ის მასპინძლობის მთავარი ფავორიტი? ახლა ამაზე საუბარი ძნელია. თუ თურქეთმა 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა, მაშინ ფავორიტის დასახელება ძალიან ძნელია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადა თურქეთში არ გაიმართება, ევროს მასპინძლობის მთვარი ფავორიტი ეს ქვეყანაა. რაც შეეხება ინგლისს, გვესმის, რომ მთლიანად ტურნირის მასპინძლობის მოპოვების შანსი მცირეა. ამიტომ ჯობია, ზედმეტ ხარჯებს თავი ავარიდოთ. ახლა ჩვენ მაინც "ფინალური კვირის" გამართვაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული. თუ პალტინის იდეას ხორცი შეესხა, მაშინ ტურნირი მთელს ევროპაში გაიმართება. ჩვენი ამოცანაა ნახევარფინალებსა და ფინალს ვუმასპინძლოთ", - ამბობს ბერნშტეინი.

11 უცნაური მეთოდი მედლის მოსაგებად

ვასილ უდუმაშვილი

მაიკლ ფელპსი ჭამაზე უარს არ ამბობს

სპორტსმენები გამარჯვების მისაღწევად ყველაფერს აკეთებენ. ზოგჯერ მეთოდები, რომელსაც ესა თუ ის სპორტსმენი მიმართავს, იმდენად უცნაურია, რომ ღიმილს იწვევს. თუმცა, თუ ეს მეთოდი ამართლებს და სპორტის კანონებს არ არღვევს, რა პრობლემაა.

გვინდა გიამბოთ 11 ყველაზე უცნაურ მეთოდზე, რომლისთვისაც ამა თუ იმ სპორტსმენს გამარჯვების მისაღწევად მიუმართავს. რას არ შეხვდებით ამ მეთოდებში - ცურვას დელფინებთან ერთად, სექსს სტარტის წინ, ქვითინს და ასე შემდეგ.

მაგნარ სოლბერგი და ჭიანჭველების ბუდე

1970-იანი წლების დასაწყისში ეს ნორვეგიელი ბიატლონისტი სასწაულებს ახდენდა. ის ტრასაზეც სწრაფი იყო და მიზანშიც ზუსტად ისროდა. წარმატების საიდუმლო კი საზაფხულო ვარჯიშები ყოფილა. მაგნარის მწვრთნელმა მარტინ სტოკენმა თავის შეგირდს ნამდვილი გამოცდა მოუწყო. მწვრთნელი სასროლ ადგილს ისე არჩევდა, რომ მაგნარს ჭიანჭველების ბუდესთან უწევდა დაწოლა და სროლისას ტანზე ჭიანჭველები ესეოდნენ. ამით სპორტსმენის სროლის სისწრაფე საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო ზამთარში, როდესაც სოლბერგი შეჯიბრებაზე გადიოდა და სროლის დროს მის სხეულზე მწერები არ დასეირნობდნენ, მისი შედეგები იზრდებოდა.

ალექსანდრ პოპოვი და დელფინები

მე-20 საუკუნის ყველაზე სწრაფ მოცურავეს ადამიანებთან შეჯიბრება მოსწყინდა და საცხოვრებლად ავსტრალიაში გადასვლის შემდეგ დელფინებს ეჯიბრებოდა. ეს იდეა პოპოვის მწვრთნელს, გენადი ტურეცკის მოუვიდა აზრად. ტურეცკის ექსპერიმენტულ მეთოდს ავსტრალიის ერთ-ერთ დელფინარიუმში ცდიდნენ. ავსტრალიური გაზეთები წერდნენ, რომ რუსმა მწვრთნელმა წყალქვეშ სრიალის ახალი უნიკალური მეთოდი მოიგონა. ასეა თუ ისე, ცურვის ლეგენდამ ვერც ერთ ვარჯიშზე ვერ შეძლო დელფინის უკან ჩამოტოვება.

ანი ფრიზინგერი და სექსი

ოლიმპიურ ტურნირში გარბენების წინ ციგურებით მორბენალი მომხიბვლელი გერმანელი ანი ფრიზინგერი ჟურნალისტებთანაც კი არ მალავდა, რომ შეჯიბრებისთვის მომზადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად მომავალ მეუღლესთან სექსს თვლიდა. ღამის ვარჯიშებმა ანის პირად შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოუტანა, ესტაფეტაში კი - ოქრო. ანის მეუღლე წარსულში ცნობილი ციგურებით მორბენალი იდს პოსტმა იყო.

ევგენი სადოვი და ნახშირორჟანგი

ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი გმირი დიდი გამარჯვებებისთვის არც ისე ჰუმანური მეთოდით ემზადებოდა. სატესტო ვარჯიშების დროს გაცურვებს შორის შესვენებაზე ევგენი სპეციალურ ნიღაბს იკეთებდა და ჟანგბადის ნაცვლად ნახშირორჟანგით სუნთქავდა. საქმე ის არის, რომ ევგენი საშუალო დისტანციებზე ცურვის ოსტატი იყო. ასეთ დისტანციებზე სპორტსმენები ხშირად განიცდიან ჟანგბადის ნაკლებობას. ამიტომ ასეთი სტილით ვარჯიში ლიგიკური გახლდათ. 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული სამი ოქროს მედალი ამ მეთოდის სისწორის ნათელი დასტურია. თუმცა, ოთხ წელიწადში ეგვენი იძულებული გახდა საერთოდ წასულიყო სპორტიდან.

ფელიქს მაგათი და შიშველი ფეხბურთელები

ფელიქს მაგათი მწვრთნელ დიქტატორად ითვლება. როდესაც ის "ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, გუნდის ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად ფეხბურთელები აიძულა კროსი ერბინათ. თითქოს ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ მაგათმა სარბენ ადგილად ნუდისტური პლაჟი შეარჩია. სანამ შიშველი ფეხბურთელები ორი საათის განმავლობაში პლაჟზე დარბოდნენ, შემთხვევით გამვლელები ვარსკვლვებს დედიშობილებს ათვალიერებდნენ.

მაიკლ ფელპსი და კალორიები

ამერიკელს არა მარტო მედლების მოგების, არამედ საკვების მიღების მადაც კარგი აქვს. ყოველი შეჯიბრების წინ ფელპსი დღეში 12 ათას კალორიას იღებს. ეს ექვსჯერ მეტია იმაზე, რაც ადამიანს სჭირდება. ექვსი სენდვიჩი, ხუთი კვერცხის ომლეტი, ბლინების მთელი მთა - ეს ფელპსის საუზმეა. ნახევარი კილო მაკარონი და რამდენიმე პიცა - სადილი, შემდეგ კი - საკმაოდ მსუყე ვახშამი. ამის წყალობით ფელპსს ყოველდღიურად ექვსი საათის განმავლობაში შეეძლო ვარჯიში და შემდეგ ასეთი კვება აღადგენდა იმ კალორიებს, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი აუზში კარგავდა.

ნაზმი ავლუჯა და ზეთი

თურქი მოჭიდავეები, ოსტატობასთან ერთად, აღმოსავლური მოხერხებულობის წყალობითაც აღწევდნენ გამარჯვებებს. ზეთით ტანის დაზელვა იმისთვის, რომ მეტოქემ ხელი ვერ მოგკიდოს, თურქების მოგონილია. 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის წინ ავლუჯამ იცოდა, რომ მსაჯები მას ყურადღებას მიაქცევდნენ და თუ სხეული გაზეთილი ექნებოდა, შესაძლოა, გარკვეული ზომებიც მიეღოთ. იმისთვის, რომ მსაჯებს არ შეემჩნიათ, ავლუჯამ, ტანთან ერთად, საჭიდაო ტრიკოც დაზეთა. მისმა მეტოქემ, ალექსეი მიშინმა, ფინალში ავლუჯასთვის ხელის მოკიდებაც კი ვერ შეძლო.

ხავიერ სოტომაიორი და ტირილი

გენიალური კუბელი სიმაღლეზე მხტომელი რეკორდს რეკორდზე ამხობდა. ყოველი ნახტომის წინ ის ფსიქოლოგიური მომზადების მეტად უცნაურ მეთოდს ირჩევდა. სახტომ სექტორში გამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე სოტომაიორი სარკის წინ დგებოდა და ტიროდა. ზოგჯერ კუბელს ტირილი სულაც არ უნდოდა, მაგრამ ასეთი შემთხვევებისთვის ჰქონდა სპეციალური წვეთები, რომელსაც თვალებში ისხამდა და ცრემლები თავისით მოდიოდა. ასეთი პროცედურების შემდეგ სოტომაიორი შეჯიბრებაზე ენერგიით აღსავსე გამოდიოდა.

ალექსეი იაგუდინი და პარაფსიქოლოგი

იდუმალებით მოცული მაგ-ფსიქოლოგი რუდოლფ ზაგაინოვი იაგუდინამდე ვიქტორ კორჩნოისთან, ანატოლი კარპოვთან და სერგეი ბუბკასთან თანამშრომლობდა. იაგუდინისთვის ტრიუმფალურ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე კი მაგი საერთოდ თავს გავიდა. ის შედიოდა გასახდელში და იაგუდინის მეტოქეებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა. იაგუდინის მთავარი კონკურენტის, ევგენი პლუშჩენკოს მწვრთნელმა ისიც კი თქვა, რომ მაგმა მის შეგირდს ჰიპნოზი გაუკეთა.

მუჰამედ ფარახი და მაცივარ-საკანი

სომალიში დაბადებულმა ინგლისელმა პირველად მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 30 წელს მიტანებულმა მოიპოვა. ამისთვის ჩვეულ რამდენიმე ას კილომეტრს ფარახმა ცოტა უჩვეულო საწვრთნელი მეთოდები დაამატა. ძალების აღსადგენად ფარახი მაცივარ-საკანში შედიოდა. თხევადი აზოტით გაცივებულ საკანში ფარახი ერთგვარ საუნას იღებდა და კუნთურ მასას სრულად აღიდგენდა.

გორან ივანიშევიჩი და ტელეღიპუცები

ივანიშევიჩს უიმბლდონი ერთხელ აქვს მოგებული. უამრავი ჩოგბურთელის მსგავსად, გორანი ცრუმორწმუნეა და ტურნირებზე დღის განრიგს არ ცვლის. ტრიუმფალური უიმბლდონის პირველ დღეს გორანმა ტელევიზიით ტელეღიპუცებს უყურა და შემდეგ ყოველი თამაშის წინ იგივეს აკეთებდა. «დავიღალე ამ ტელეღიპუცებით, უკვე მაღიზიანებენ, მაგრამ რა ვქნა", - ამბობდა ივანიშევიჩი.

არმსტრონგის საქმის გამრჩევს სიკვდილით ემუქრებოდნენ

გიგა გურასაშვილი

ამერიკის ანტიდოპინგური სააგენტოს (USADA) ხელმძღვანელი ტრევის ტაიგარტი აცხადებს, რომ მას ამერიკელი ველოსპორტის ლენს არმსტრონგის საქმის გარჩევისას სიკვდილით ემუქრებოდნენ.

2012 წლის აგვისტოს ბოლოს USADA-მ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა არმსტრონგს და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირს (UCI) მიმართა თხოვნით, გაუქმებულიყო 1998 წლის 1 აგვისტოდან არმსტრონგის კარიერის დასრულებამდე, მათ შორის, "ტურ დე ფრანსზე" მიღწეული გამარჯვებები.

"დიდი მარყუჟის" შვიდგზის ტრიუმფატორს ბრალად წაუყენეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

"არმსტრონგის საქმეზე მუშაობისას არაერთხელ მივიღე მუქარა, მათ შორის, სიცოცხლის ხელყოფის მუქარა", - ტაიგერტის განცხადებას ახმოვანებს ფრანგული გამოცემა L'Equipe.

ადრე USADA-ს ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ თუ არმსტრონგი აღიარებს დანაშაულს, შესაძლოა, დანაშაული შემსუბუქდეს.

საქმე ის არის, რომ ლეგენდარულ ველომრბოლს თითქმის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. "ტურ დე ფრანსის" შვიდგზის ტრიუმფატორს დოპინგის მოხმარებისთვის ამერიკის ანტიდოპინგურმა სააგენტომ (USADA) სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და 1999-2005 წლებში "ტურ დე ფრანსზე" მოპოვებული შვიდივე ტიტული ჩამოართვა!

სახელგანთქმული ამერიკელი ველომრბოლის ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა ველოსპორტის სამყაროში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია.

ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ "რკინის ლენსი" არ იმსახურებდა ასეთ სასჯელს, რომ "ტურ დე ფრანსის" რეკორდსმენი, როგორც ადამიანი, დიდი ხნის განმავლობაში მაგალითს იძლეოდა ვაჟკაცობის (მძიმე ავადმყოფობაზე გამარჯვების შემდეგ დაუბრუნდა ასპარეზობებს) და რომ მისმა დასჯამ შესაძლოა ველოსპორტის დისკრედიტაცია გამოიწვიოს.

...არმსტრონგის წინააღმდეგ საქმე აღიძრა წლეულს, ივნისში, როდესაც ამერიკის ანტიდოპინგურმა სააგენტომ, 2009 და 2010 წლების სინჯების დადებითი პასუხის საფუძველზე, ველომრბოლი ანტიდოპინგური კანონმდებლობის დარღვევაში დაადანაშაულა.

ბრალმდებლის აზრით, არმსტრონგმა დაარღვია მთელი რიგი წესები - აკრძალული პრეპარატების მიღებით დაწყებული, დოპინგის გავრცელებითა და სხვა სპორტსმენებისთვის აკრძალული პრეპარატების მიღების წაქეზებით დამთავრებული. ივნისშივე ველომრბოლმა უარყო ყველა ბრალდება და გადაწყვიტა თავისი ღირსება დაეცვა სასამართლოში. თუმცა, მის საქმესთან დაკავშირებით განაჩენის გამოტანა რამდენჯერმე გადაიდო, რასაც დაახლოებით ერთი თვის წინათ ამერიკელი ველომრბოლისგან ბრძოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მოჰყვა.

"ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც უნდა თქვას: "საკმარისია". ახლა ჩემთვის ეს დრო დადგა. ჩემ წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას "მოჩვენებებზე ნადირობად" ვთვლი. ისინი ამტკიცებენ, რომ რბოლაში უსამართლო უპირატესობა მქონდა და ამის წყალობით მოვიგე ზედიზედ შვიდი "ტური". დავიღალე ამ სისულელესთან ბრძოლით".

ძიუდოისტებმა და სამბისტებმა ევროპირველობაზე წარმატება სამინისტროში შეაფასეს

ხორვატიის ქალაქ პორეჩში ძიუდოისტთა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ქართველმა ძიუდოისტებმა 1 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, წარმატებით იასპარეზეს საქართველოს კადეტ (16 წლამდელთა) სამბისტთა ნაკრების წევრებმაც, რომლებმაც ტალინში გამართულ ევროპის კადეტთა ჩემპიონატზე 5 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო აიღეს.

ევროპირველობებიდან დაბრუნების შემდეგ, ძიუდოისტთა და სამბისტთა ნაკრებების მწვრთნელებმა, ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად შემაჯამებელი პრესკონფერენცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართეს.

მედიასთან სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა - სოსო ლიპარტელიანმა, კადეტთა ნაკრების მწვრთნელმა - ემილ რაშმა, ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა -ვლადიმერ ნუცუბიძემ და ახალგაზრდული ნკარების მთავარმა მწვრთნელმა - გია გუგავამ ისაუბრეს.

ძიუდო, ევროპის ახალგაზრდული პირველობა
პორეჩი, 21-23 სექტემბერი
ლევან მატიაშვილი (+ 100 კგ.) - ოქრო
ბექა ღვინიაშვილი (81 კგ.) - ვერცხლი
ფრიდონ გიგანი (73 კგ.) - ვერცხლი
ვაჟა მარგველაშვილი (60 კგ.) - ვერცხლი
ლერი ჭელიძე (55 კგ.) - ვერცხლი
გურამ თუშიშვილი (100 კგ.) - ბრინჯაო
ლევან გუგავა (73 კგ.) - ბრინჯაო

სამბო, ევროპის კადეტთა პირველობა
ტალინი, 21-24 სექტემბერი
დავით ოზბეთელაშვილი (84 კგ.) - ოქრო
ირაკლი გოგია (78 კგ.) - ოქრო
გიორგი მეტრეველი (60 კგ.) - ოქრო
ჯაბა ქურდიანი (50 კგ.) - ოქრო
თორნიკე ნაგლიაშვილი (46 კგ.) - ოქრო
მიხეილ ახალაური (+ 84 კგ.) - ვერცხლი
ჯემალ ბუჩუნტელი (66 კგ.) - ბრინჯაო

სამინისტროს პრესსამსახური

ჰარუმაფუჯი იოკოძუნაა

გიგა გურასაშვილი

იოკოძუნას არჩევის კომიტეტმა სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით ჰარუმაფუჯის მიეკუთვნოს უმაღლესი - მებრძოლის წოდება.

ჰარუმაფუჯიმ იოკოძუნას ტიტული დაიდგა

იოკოძუნას არჩევის საზოგადოებრივი კომიტეტის თორმეტმა წევრმა, რომლებიც ტოკიოს "რიოგოკუ კოკუგიკანში" შეიკრიბნენ, იაპონიის სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შემდეგი მიმართვა გაგზავნა: 28 წლის მონღოლ სეკიტორ ჰარუმაფუჯის იოკოძუნას უმაღლესი წოდება მიენიჭოს.

"მზიური ცხენის" შიკონათი (მეტსახელი) ცნობილი სუმიტორი სუმოს ისტორიაში მესამე ოძეკი გახდა, რომელმაც ზედიზედ ორი ბაშო წაუგებლად განვლო და იქვე ლეგენდარული სუმოისტების - ფუტაბაიამას და ტაკანოჰანას კომპანიაში დაიმკვიდრა ადგილი.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის წევრებს პრეტენზია არც ჰარუმაფუჯის ბრძოლის ხარისხთან ჰქონიათ და არც დოჰიოს მიღმა საქციელთან.

ბიამბადორჯ დავაანიამს (ჰარუმაფუჯის სახელი და გვარი) მხოლოდ ერთი ურჩიეს - მომავალში ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვას, უფრო სწორად ურჩიეს, დიდ ჩემპიონთათვის შეუფერებელი ხელების უხეში რტყმისგან - ჰარიტესგან.

უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე ჰარუმაფუჯის აღზევების შესახებ ოფიციალურ გადაწყვეტილებას სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭო ხვალ მიიღებს. ხუთშაბათს 70-ე დიდი ჩემპიონის აღმზრდელ ისეგაჰამას სკოლაში ბრინჯის ლერწმისგან (იოკოძუნების აუცილებელი ატრიბუტი თასმა (ცუნა) დამზადდება, რომელიც წმინდა რიტუალისას მათ ღმერთებთან სიახლოვეზე მიუთითებს.

პარასკევს, მონღოლი გოლიათი შინტოისტურ ტაძარ მეიძი ძინგუს მახლობლად მდებარე დოჰიოზე ნათლობას გაივლის. ცნობილია ისიც, რომ ჰარუმაფუჯიმ არსებული ორი სარიტუალო სტილიდან სირანუი აირჩია, რომელიც უნრიუსთან შედარებით უფრო შემტევად ითვლება.

აღნიშნული სტილს სახელი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოღვაწე მე-11 დიდი ჩემპიონის საპატივცემულოდ ეწოდა და მის დემონსტრორებას ჰარუმაფუჯის აღმზრდელი მწვრთნელი, ისეგაჰამას სკოლის (ოთახის) თავკაცი - 63-ე იოკოძუნა ასაჰიფუძიც ახდენდა. სირანუის ტრადიციას აგრძელებს 69-ე დიდი ჩემპიონი ჰაკუჰოც.

აქვე მოგახსენებთ, რომ არსებული წესებით, იოკოძუნას უკან ოძეკის წოდებაზე დაქვეითება აღარ შეიძლება. ამგვარადა, ჰარუმაფუჯი დიდი ჩემპიონის სახელით რიკიშის კარიერის დასრულებამდე იასპარეზებს.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე